ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორია

ბოლქვაძე თამილა

# ჰერეთის პრობლემატიკა XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი

ხიჭაური
2021

# ანოტაცია


სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საქართველოს წიაღს მოწყვეტილ ერთ-ერთი ისტორიულ ქართულ კუთხეს – ჰერეთს.

ნაშრომის პირველი ნაწილი დათმობილი აქვს XVII-XIX საუკუნეების ჰერეთის ისტორიის საკითხების გაშუქებას. ირანის შაჰის შაჰ-აბას I-ის მიერ 1614-1617 წლებში განხორციელებული ოთხი უსასტიკესი ლაშქრობის შედეგად, მაშინდელი კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი – ჰერეთი საშინლად აოხრდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ან ამოწყდა, ან ირანში იქნა გასახლებული. მათ ნასოფლარებზე თანდათან დაღესტნელი მოახალშენეები ჩამოსახლდნენ ირანისა და ოსმალეთის ხელშეწყობით. ასე ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქნის „ლეკური“ საზოგადოებები. ჰერეთის ერთი ნაწილი – კაკ-ენისელის სამოურავო კი შაჰ-აბასმა უფრო ადრე (1604 წელს) გამოსძალა კახეთის მეფეს და აქ ელისუს სასულთნო შექმნა. ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო ძალიან ავიწროებდნენ დაპყრობილ ჰერ მოსახლეობას. დიდ პრობლემებს უქმნიდნენ ისინი კახეთისა და ქართლის სამეფოებსაც.

ნაშრომის მეორე ნაწილში ნაჩვენებია თუ რა ადგილი აქვს დათმობილი XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე ჰერეთის პრობლემატიკას. გაზეთები „დროება“ და „ივერია“ მდიდარ მასალებს გვაწვდის ჰერეთის ყოფა-ცხოვრებაზე, წარსულსა და აწმყოზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, საგანმანათლებლო თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. იმდროინდელი პრესის მასალები მართლაც რომ საუკეთესო წყაროა ჰერეთის ისტორიის შესასწავლად.

# Annotation

The master's thesis is dedicated to Hereti, one of the historical regions of Georgia, which was seized from Georgia.

In the first chapter of the thesis is discussed history of Hereti in XVII-XIX centuries.

As a result of four brutal expeditions carried out by Shah Abbas the Great in 1614-1617, Hereti the eastern part of Kakheti Kingdom was terribly destroyed. A large part of the population was either exterminated or banished to Iran. Dagestani settlers gradually settled in their villages with the support of Iran and Ottomans. This is how the "Lekian" communities of Tchar-Belakani were formed.

On part of Hereti – the estate of Kak-Eniseli – was ousted by Shah Abbas the Great earlier (in 1604) and he established the Sultanate of Elisu there. Tchar-belakani and the Sultanate of Elisu oppressed the conquered Heretian population. They also arose huge problems for the kingdoms of Kakheti and Kartli.

As for the second chapter of the thesis, there is discussed issue, how the Georgian press of the second half of XIX century recognized problems of Hereti.

The newspapers "Droeba" and "Iveria" provides rich materials of the life of Hereti, about its past and present, on political, economic, religious, educational or other important issues as well.

The aforementioned press materials undoubtedly are the significant source for studying the history of Hereti.

# შინაარსი


**შესავალი** ..... 5

**თავი I - წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა**

§.1. წყაროები ..... 8

§.2. ისტორიოგრაფია ..... 10

**თავი II - ჰერეთი XVII-XIX საუკუნეებში**

§.1. შაჰ-აბას I-ის პოლიტიკის შედეგები ჰერეთისათვის ..... 13

§.2. დაღესტნური ტომების ეთნო-პოლიტიკური ექსპანსია ჰერეთში ..... 18

§.3. ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის იმპერიაში ..... 23

**თავი III - ჰერეთის პრობლემატიკა და XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესა**

§.1. ჰერეთი და გაზეთი „დროება“ ..... 29

§.2. ჰერეთი „ივერიის“ ფურცლებზე ..... 41

**დასკვნები** ..... 53

**გამოყენებული ლიტერატურა** ..... 57

# შესავალი

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორია სავსეა ტრაგიკული და მტკივნეული მომენტებით. მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი, უამრავჯერ სასტიკად აოხრებული და სისხლისგან თითქმის დაცლილი ჰერეთის საკითხი სწორედ ერთი ასეთი პრობლემათაგანია, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინ გაჩნდა და დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

ჰერეთს დღეს საინგილოს სახელით უფრო იცნობენ, რაც ადგილობრივი მკვიდრი ქართველების – ჰერების გაღიზიანებას იწვევს. ეს გასაგებიცაა, რადგან მიჩნეულია, რომ ეს სახელი მოდის დამახინჯებული თურქული სიტყვიდან ენგილავ-იანგილო და ნიშნავს „ახალ მორჯულებულს“ ანუ გამაჰმადიანებულს. თუმცა ჰერი მკვლევარი ასრათ ომარაშვილი ინგილო-ენგილოს უკავშირებს ჰერეთის სოფელ ენგიანს და მდინარე ენგურს და მას ქართული წარმომავლობის ეთნონიმად მიიჩნევს (ომარაშვილი, 2005:57-58). მიუხედავად ამისა, ჰერები ამჯობინებენ საინგილო ჰერეთის სახელით მოიხსენიონ.

ჰერეთი ერთ-ერთი ისტორიული ქართული კუთხეა, ჰერები კი ქართველი ერის შემადგენელი ნაწილი, ისევე, როგორც ქართლელები, კახელები, აჭარლები, გურულები, მეგრელები თუ სხვა კუთხის ქართველები. ჰერეთი დღეს საქართველოს საზღვრებში აღარ არის. ამ მტკივნეულ პრობლემას საფუძველი XVII საუკუნის ადასაწყისიდან შეუმზადა იმდროინდელი ირანის ვერაგმა და უსასტიკესმა მბრძანებელმა შაჰ-აბას I-მა. მან ჯერ კაკ-ენისელის სამოურავო გამოსძალა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს, აქ ელისუს მაჰმადიანური სასულთნო ჩამოაყალიბა და დაღესტნელ წახურელებს გაუხსნა გზა ჩამოსასახლებლად, ხოლო შემდეგ თავისი შემოსევებით ისე ააოხრა და დასცალა მთელი ჰერეთი ქართული მოსახლეობისაგან, რომ იგი მთლიანად დაღესტნელების სათარეშოდ აქცია. ირანისა და ოსმალეთის ხელშეწყობით, დაღესტნელებმა შემდგომში საერთოდ მიიტაცეს ეს მხარე.

საქართველო არასოდეს შერიგებია ჰერეთის დაკარგვას, მაგრამ ძალები ძალიან უთანასწორო იყო და ამ პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად ვერ მოხერხდა. ჭარ-ბელაქნელი „ლეკების“ უკან დაღესტნელები და ირან-ოსმალეთი იდგა. როცა რუსეთმა

ჯერ ქართლ-კახეთი, ხოლო შემდეგ ჭარ-ბელაქანი, ანუ ძველი ჰერეთი თავის ფარგლებში მოაქცია, ქართული საზოგადოების ყურადღება ჰერეთის მიმართ გაიზარდა. მოწინავე ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ ქართული ცნობიერება განემტკიცებინათ აქ და სულიერად მაინც გაეერთიანებინათ ჰერეთი დანარჩენ ქართულ კუთხეებთან. მაგრამ ჰერეთში ქართველობის გაძლიერება და ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცება არც აქ გაბატონებულ ჭარ-ბელაქნელ „ლეკებს“ სურდათ და ეს არც რუსეთის იმპერიულ ინტერეესებს შეესაბამებოდა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჰერეთისადმი ინტერესი ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო იზრდებოდა, რაც ნათლად აისახა XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე. ქართულ გაზეთ-ჟურნალებში ხშირად იბეჭდებოდა წერილები ჰერეთისა და ჰერების შესახებ (ანუ, როგორც უმეტესად ამბობენ, საინგილოსა და ინგილოების შესახებ).

პრესაში გამოქვეყნებული წერილები ეხებოდა როგორც ჰერეთის წარსულს, ისე იმდროისათვის იქ არსებულ ვითარებას. საინტერესო წერილები იბეჭდებოდა ჰერეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პროცესებზე. ეს წერილები საუკეთესო მასალაა ჰერეთის ისტორიის შესასწავლად.

**თემის აქტუალურობა:** საკვლევი თემა ნამდვილად აქტუალურია. ჯერ ერთი, სრულიად საქართველოს ისტორია რომ სრულყოფილი იყოს, მისი ცალკეული კუთხის ისტორია საფუძვლიანად უნდა იქნას შესწავლილი; მეორეც – ისეთი კუთხეები, როგორიც ჰერეთია (ანუ ერთიან საქართველოს არიან მოწყვეტილი), განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

ჰერეთზე ბევრი უნდა იწერებოდეს, მისი ისტორია რაც შეიძლება ბევრმა უნდა იცოდეს და იცოდეს კარგად, საფუძვლიანად, რომ არც ჩვენ დავივიწყოთ ჰერეთის წარსული და თანამედროვეობა და არც სხვას მივცეთ ამის საშუალება.

ჰერები, ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის შვილები, არასოდეს არ უნდა გრძნობდნენ თავს მივიწყებულად. ისინი საუკუნეების მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან საქართველოს მესაზღვრეები იყვნენ და თავიანთი

მკერდით იცავდნენ მას. დროის ავბედითობამ ისინი მშობლიურ წიაღს მოწყვიტა, მაგრამ სულიერი კავშირი ამ კუთხესთან არასოდეს არ უნდა გაწყდეს.

**კვლევის მიზნები და ამოცანები:** სამაგისტრო ნაშრომში მიზნად დავისახეთ, სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების გამოყენებით, ვაჩვენოთ როგორ წარიმართა პოლიტიკური პროცესები XVII-XIX საუკუნეებში და როგორ გადაიქცა ქართული ჰერეთი ჯერ ჭარ-ბელაქან-ელისუს სასულთნოდ, შემდეგ კი ზაქათალის ოკრუგად.

ასევე, შევისწავლოთ და გავაშუქოთ XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე გაბნეული პუბლიცისტური წერილები ჰერეთის შესახებ, რაც უძვირფასესი მასალაა ამ კუთხის ისტორიის შესასწავლად. ამ მიზნით ჩვენ დავამუშავეთ გაზეთების „დროებისა“ და „ივერიის“ შესაბამისი პერიოდის ნომრები.

**კვლევის მატერიალურ ტექნიკური ბაზა:** ნაშრომზე მუშაობის დროს, პანდემიის გამო, შეზღუდულად, მაგარამ მაინც ვისარგებლეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკების ფონდებით.

განსაკუთრებით გამოგვადგა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა ,,ივერიელი“, სადაც გაციფრულებული სახით მოვიძიეთ XIX საუკუნის II ნახევრის ჩვენთვის საინტერესო ქართული ჟურნალ-გაზეთების ყველა ნომერი.

გამოვიყენეთ სხვა ინტერნეტ რესურსებიც.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომი – „ჰერეთის პრობლემატიკა XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე“ – შედგება შესავალი ნაწილისაგან, სამი თავისა და რვა პარაგრაფისაგან, ასევე, დართული აქვს დასკვნა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს შესაბამისი სტანდარტებით ნაბეჭდ 60 კომპიუტერულ გვერდს.

# თავი I – წყაროები და ისტორიოგრაფია

## §. 1. წყაროები

თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ის საისტორიო წყაროები, რომლებიც უშუალოდ ან სხვადასხვა ფორმით ეხებიან ჩვენს საკვლევ პრობლემას. შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო წყაროების გამოყენების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია ნებისმიერი ისტორიული საკითხის საფუძვლიანად შესწავლა და რეალური სურათის აღდგენა .

სამაგისტრო ნაშრომში სწორედ წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა შესწავლა-შეჯერების საფუძველზე გავაშუქეთ როგორც ჰერეთის პოლიტიკური მდგომარეობა, ისე მისი მძიმე წარსული.

„ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს“ შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ. იგი საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის და ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ XVII საუკუნეში, აგრეთვე, შაჰ-აბას I-ის შემოსევებისა და მათი შედეგების თაობაზე კახეთის სამეფოსათვის, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა იმ დროისათვის ჰერეთი. სპარსული ტექსტი თარგმნა და გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969 წ.).

გამოყენებულ წყაროებს შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, მოსე ჯანაშვილის „საინგილო“ (თბილისი, 1910). ჯანაშვილის ეს წიგნი საინტერესო და, ამავდროულად, ძვირფას წყაროს წარმოადგენს ჰერეთის ისტორიის შესასწავლად. ჰერეთის თემის წარმოსაჩენად ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს შაჰ-აბას I-ის ლაშქრობების და მათი შედეგების აღწერა, დაღისტნელთა ექსპანსია და 1830 წლიდან ჰერეთის გარშემო განვითარებული მოვლენების და მათი შედეგების განხილვა.

უმთავრესი წყარო, რომელსაც ვეყრდნობოდით ჰერეთის პრობლემატიკის განხილვისას, არის XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში წარმოდგენილი

ცნობები. ჩვენ ამ მხრივ შევისწავლეთ და გამოვიყენეთ გაზეთებში – „ივერიასა“ და „დროებაში“ დაცული მასალები, რომლებიც საკმაოდ ამომწურავ იმფორმაციას იძლევა საკვლევი პერიოდისა და თემის ირგვლივ. მათში ასახული ცნობები უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს ჩვენთვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსე ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილები. გამოვყოფდი მის შემდეგ სტატიებს: „წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“ (წერილების ციკლი, 1867 წელი), „საინგილო“ (1894 წელი) და სხვ. მოსე ჯანაშვილი თავის სტატიებში შეეხო ყველა იმ პრობლემას, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავით იდგა ჰერების წინაშე.

# ისტორიოგრაფია

ნაშრომზე მუშაობისას, წყაროებთან ერთად, გამოვიყენეთ, ასევე, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაც. მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს, უფრო მნიშვნელოვნებს მათ შორის.

ჰერეთის, იგივე საინგილოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესო შრომას წარმოადგენს თენგიზ პაპუაშვილის „საინგილო“. ეს ნაშრომი დაიბეჭდა 2013 წელს და იგი მიზნად ისახავს, მაქსიმალურად სრული წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს საინგილოს შესახებ. ნაშრომში ასახულია საინგილოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მეცნიერული სურათი უძველესი დროიდან 1921 წლამდე, როდესაც იგი აზერბაიჯანის შემადგენლობაში მოექცა. პირველწყაროთა ანალიზის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია საინგილოს მხარის ისტორიული განვითარების თავისებურებანი და ძირითადი, განსაკუთრებით აქტუალური და მწვავე პრობლემები, რაც იდგა ამ მხარის მოსახლეობის წინაშე.

თენგიზ პაპუაშვილის მეორე წიგნი – „ჰერეთის მოკლე ისტორია“, ასევე საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს თავისი შინაარსით. განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სავაჭრო გზებისა და ვაჭრობის როლს ჰერეთის ეკონომიკურ განვითარებაში. ავტორს გამოყენებული აქვს ყველა სახის წყარო: წერილობითი, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვა. აღნიშნული ნაშრომი მკითხველთა წინაშე წარმოდგენილი იქნა 1970 წელს (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი).

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ, ასევე, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ნიკო ბერძენიშვილის „საინგილო“, რომელიც შესულია „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III ტომში. ტომი გამოვიდა 1966 წელს. კვლევა V საუკუნიდან 1921 წლამდე პერიოდს მოიცავს. მასში გაშუქებულია საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომები და ამ ომების შედეგები ჰერეთისათვის. კერძოდ, ასახულია ირანელთა და ლეკთა შემოსევებისა და ბატონობის ხანა.

საინტერესო შრომას წარმოადგენს, ასევე, მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნი „ქართველთა დენაციონალიზაცია“, რომელიც, გარკვეულწილად, გამოვიყენეთ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. მეუფე ანანია ჯაფარიძის აღნიშნული შრომა გამოვიდა 2010 წელს და მასში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მონაკვეთი, რომელიც მიმოიხილავს XVII-XIX საუკუნეებს ჰერეთთან მიმართებაში. კერძოდ, განხილულია შაჰ-აბას I-ის შემოსევების შედეგები, დაღესტნელთა ჩამოსახლება ჰერეთში და ჭარ-ბელაქნის ჩამოყალიბება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის კურთხევით 2005 წელს გამოცემული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ (№1). ჟურნალში დაბეჭდილი წერილები გვაწვდის ცნობებს ჰერეთისა და ჰერების ისტორიული წარსულის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფაქტების შესახებ. კრებული უტყუარ მატეანეს წარმოადგენს იმისას, რომ ისტორიული ჰერეთი, ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი იყო, ჰერები კი ქართველები არიან ენითა და კულტურით. წყაროების საფუძველზე გაბათილებულია აზიმოვისა და აჰმედოვის დასკვნები, სადაც მკაფიოდ ჩანს ავტორთა განზრახვა, მოსწყვიტონ ისტორიული ჰერეთი საქართველოს. საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი XVII-XIX საუკუნეებში ჰერეთში დატრიალებული მოვლენების შესახებ.

ნაშრომისთვის გამოვიყენეთ, ასევე, მეტად საინტერესო კრებული „ლეკიანობა“ (თბილისი, 2011). იგი გვაწვდის საინტერესო ცნობებს XVII-XIX საუკუნეების ისტორიის საკითხების შესახებ. მასში აღწერილია საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა და ლეკიანობის უმძიმესი შედეგები, განსაკუთრებით კახეთის აღმოსავლეთი ნაწილისათვის. გაშუქებულია ის რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პროცესები, რაც მოჰყვა ლეკიანობას და შაჰ-აბასის მიერ გატარებულ პოლიტიკას. წარმოდგენილია ცნობები, თუ როგორ აქტიურად იყენებდნენ თავისი ინტერესების სასარგებლოდ ირანი და ოსმალეთი დაღესტნელებს კახეთის წინააღმდეგ .

აღსანიშნავია, ასევე, მარიამ ჩხარტიშვილისა და ქეთევან მანიას მონოგრაფია „ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში“ (გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 2011). ნაშრომი საინტერესოა ჩვენთვის იმდენად,

რამდენადაც იგი უშუალოდ ხაზს უსვამს ბეჭდური მედიის, კერძოდ კი გაზეთ „ივერიის“ როლს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით ისეთი პრობლემატური კუთხის მიმართ, როგორიც გახლდათ ჰერეთი. ჩვენთვის საინტერესოა ნაშრომის ის მონაკვეთები, სადაც გაშუქებულია ჰერეთის პრობლემატიკაზე გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილები.

მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია, ასევე, ჰერეთის თემაზე შექმნილმა სხვადასხვა სტატიამ. ასე მაგალითად, გივი ჟორდანიას სტატია „ქართული აბრეშუმის განადგურების ერთი ცდის შესახებ“, რომელშიც, ძირითადად, XVII საუკუნის მოვლენებია აღწერილი და შეფასებული. სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ 1963 წლის მე-5 ნომერში. ჩვენთვის ეს პუბლიკაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში საუბარია შაჰ-აბასის უმთავრეს ინტერესებზე კახეთის სამეფოსთან მიმართებაში და მისი გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგებზე.

საინტერესო ნაშრომებს წარმოადგენენ, ასევე, ვალერიან ტარტარაშვილის სტატიები „რუსეთთან საინგილოს შეერთების ისტორიიდან“ და „საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენის ისტორიიდან“, რომლებიც ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1973 და 1987 წლებში. პირველი წერილი კარგად ასახავს 1830 წელს საინგილოს რუსეთთან შეერთების ძირითად მიზეზებს, ხოლო მეორეში აღწერს რუსეთის იმპერიის რელიგიური პოლიტიკის შედეგებს ჰერეთთან მიმართებაში.

ნაშრომზე მუშაობისას გადავხედეთ გაზეთების – „ივერიისა“ და „დროების“ XIX საუკუნის II ნახევრის თითქმის ყველა ნომერს, თუმცა თემაში წარმოვადგინეთ ძირითადად ის ნომრები, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავდნენ ჰერეთის, იგივე საინგილოს პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ნაშრომზე მუშაობისას ვისარგებლეთ, ასევე, მრავალფეროვანი ინტერნეტ-მასალებითაც, რომლებმაც ძალიან დიდი დახმარება გაგვიწიეს მუშაობის პროცესში.

# თავი II - ჰერეთი XVII-XIX საუკუნეებში

## §.1. შაჰ-აბას I-ის პოლიტიკის შედეგები ჰერეთისათვის

ჰერეთი საქართველოს ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხეთაგანია. „ჰერეთის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ჰერული ტომებით: თვით ჰერებით, ლბინებით, ელარბიელნით, ჭილბებით, სოჯებით. ჩვენს ხელთ არსებული, ძირითადად არქეოლოგიური, მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული ტომები ჰერეთის ტერიტორიაზე განსახლებული ჩანან, უფრო ადრეული პერიოდიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. ა. I ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან მაინც“ – წერს ჰერეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი თენგიზ პაპუაშვილი **(პაპუაშვილი, 1970: 115).** აქედან მოკიდებული ჰერეთი საქართველოს ისტორიის ნაწილია. XVII საუკუნის დასაწყისიდან კი მდგომარეობა თანდათან შეიცვალა, რაც მეზობელი იმპერიების ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის გამართულმა ბრძოლამ გამოიწვია.

საქართველო, თავისი მნიშვნელოვანი გეო-სტრატეგიული მდებარეობის გამო, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. საქართველოში გაბატონება ახლო აღმოსავლეთში გაბატონების საწინდარი იყო. XVI-XVII საუკუნეებში მისი ხელში ჩაგდებისათვის ირანისა და ოსმალეთის იმპერიები დაუპირისპირდა ერთმანეთს. ეს დაპირისპირება 1514 წელს დაიწყო და საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა ხანმოკლე შესვენებებით.

საქართველო ამ დროისათვის რამდენიმე სამეფო-სამთავროდ იყო დაქუცმაცებული. ჰერეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ჯერ კიდევ „XV საუკუნეში კახეთში მნიშვნელოვანი სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმა ჩატარდა“, შედეგად „გაუქმდა „ჰერეთის საერისთავო“ და მის ნაცვლად სამოურავოები (კაკ-ენისლის, ჭიაურის) შეიქმნა. ამიერიდან ტერმინი „ჰერეთიც“ გაქრა პოლიტიკური ნომენკლატურიდან და ახალ პოლიტიკურ ერთეულს ძველი „ჰერეთ-კახეთის“ ნაცვლად კახეთის სამეფო ეწოდა“ **(ბერძენიშვილი, 1966: 262-263).**

ირან-ოსმალეთს შორის მიდინარე საომარი დაპირისპირება კი XVI საუკუნის II ნახევარში ოსმალეთის უპირატესობით წარიმართა. შაჰ-აბას I, რომელიც ტახტზე 1587 წელს ავიდა, იძულებული გახდა გახდა ოსმალეთთან ზავი დაედო, რათა ირანს მშვიდობიანობის პერიოდით ესარგებლა და ბრძოლისუნარიანობა აღედგინა. 1590 წლის 21 მარტს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ირანისათვის ეს ზავი ძალიან მძიმე იყო. შაჰ-აბასი იძულებული გახდა მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია, აზერბაიჯანი და ქურთისტანის დიდი ნაწილი ბრწყინვალე პორტასათვის დაეთმო. საქართველო მთლიანად ოსმალეთის ხელქვეით მოექცა. ოსმალეთის გაძლიერებამ ევროპაც კი შეაშფოთა **(ალექსაია, ზოსიძე, 2013:292).**

დიდი მსხვერპლის გაღების ფასად შაჰ-აბასმა დრო მოიგო და ქვეყანაში სამხედრო, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმები გაატარა, მმართველობის ცენტრალიზაცია გააძლიერა და ირანის ბრძოლისუნარიანობა აღადგინა **(ალექსაია, ზოსიძე, 2013:310)**.

გატარებული რეფორმებით გააძლიერა რა ირანი, შაჰ აბასმა 1603 წელს 1590 წლის სტამბოლის ზავი დაარღვია და ოსმალეთთან ომი განაახლა. შაჰ-აბასის მიზანი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა იყო. მაგრამ გარდა ოსმალეთისა, ირანის შაჰს ძალიან აფიქრებდა რუსეთის საკითხიც, რომელიც ამ დროისათვის ამიერკავკასიაში შემოსვლას ცდილობდა და კახეთის სამეფოსთან უკვე მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ირანი ვერც ოსმალეთს და ვერც რუსეთს აღმოსავლეთ საქართველოს ვერ დაუთმობდა. „ამდენად, "გურჯისტანის საკითხის" მოგვარება (აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა) ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შაჰ-აბასისათვის ახლად დაწყებულ ომში" **(საქართველოს ისტორია, 2012:198-199).** შაჰს განსაკუთრებით კახეთის პრორუსული განწყობა აშფოთებდა. მართალია ოსმალეთთან ომის პირობებში მის წინააღმდეგ აშკარა აგრესიას მოერიდა, მაგრამ სამომავლო გეგმებისათვის ნიადაგის მომზადებას თავიდანვე შეეცადა.

1604 წელს, ერევნის ციხესთან, მის ბანაკში მყოფი ქართლის მეფე გიორგი X და კახეთის მეფე ალექსანდრე II, ერევნის ომში მონაწილეობისათვის, „შაჰ-აბასმა ირანში

სოფლებით დაასაჩუქრა და თითოეულ მათგანს თავისი ხაზინიდან ჯამაგირი გაუჩინა. სამაგიეროდ, შაჰმა ქართლის მეფეს ციხე ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა, ხოლო კახეთის მეფეს ენისელის მხარე (საინგილოში). ლორე-დებედას ხეობა ქართლს სამხრეთიდან ჰკეტავდა, ენისელი კი კახეთის კედელი იყო აღმოსავლეთის მხრიდან. ეს მხარეები შაჰმა საქართველოს ჩამოაცილა და თავის მოხელეებს (სულტნებს) ჩააბარა“ **(საქართველოს ისტორია, 1943: 293).** ასე ჩაეყარა საფუძველი ელისუს სასულთნოს.

ნიკო ბერძენიშვილი წერს: „ამიერიდან, კაკ-ენისელის (ძველი ჰერეთის) აღმოსავლეთი ნაწილი კახეთს ჩამოსცილდა და შემდეგი დროის ელისუს სასულტანოს საფუძველი ჩაეყარა. ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გვერდით ამიერიდან თანდათან იწყეს ჩამოსახლება მთის გადაღმიდან წახურელმა მოახალშენეებმა. ალექსანდრე მეფე იძულებული იყო შერიგებოდა, სათვალმჩენოდ მაინც, ცბიერი შაჰის ამ მზაკვრულ ღონისძიებას. ელისუს ან კაკის სასულტნო მდინარეებს ყანი ყობისა და ყაფიჩაის შორის მდებარე ტერიტორიას ეწოდა. ასე რომ 1605 წელს კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრად ყიზილბაშები ყაფიჩაის სთვლიდნენ, თუმცა ქართველები ამ ფაქტს არ ურიგდებოდნენ და ელისუს სასულტნოს ისევ საქართველოდ (კახეთად) უყურებდნენ და კახეთის აღმოსავლეთ საზღვრად ისევ ყანი ყობი მიაჩნდათ“ **(ბერძენიშვილი, 1966: 265).**

ასე დაიწყო ჰერეთის აღმოსავლეთ ნაწილის გალეკება-გადაგვარების პროცესი. მაგრამ შაჰ-აბასი ამაზე არ შეჩერებულა, მას უფრო დიდ გეგმა ჰქონდა. იგი მთელი კახეთის სამეფოს მოთხრას და აქ ყიზილბაში ტომების ჩამოსახლებას ფიქრობდა. ოსმალეთთან ომის პროცესში ამ გეგმის განხორციელებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ როცა 1612 წელს ირან-ოსმალეთი კვლავ დაზავდა და ირანმა ამიერკავკასიაში თავისი პოზიციები აღიდგინა, კახეთისთვისაც მოიცალა. 1613 წელს შაჰ აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსკენ დაიძრა, თუმცა თავი ისე ეჭირა, თითქოს ოსმალების წინააღმდეგ მიდიოდა. ამავე დროს, სულთანს ელჩი გაუგზავნა და თავისი ნამდვილი განზრახვა – ქართლ-კახეთში ლაშქრობა აცნობა **(საქართველოს ისტორია, 2012:206-207).** ირანელები განჯაში დაბანაკდნენ. როცა ქართლისა და კახეთის მეფეებმა მორჩილების

ნიშნად შაჰთან გამოცხადებაზე უარი თქვეს, მომდევნო წლის ადრე გაზაფხულზე კახეთის საზღვრებში შეიჭრნენ.

„განრისხებულმა შაჰ-აბასმა 1614-1617 წლებში ოთხი ამაოხრებელი ლაშქრობა მოაწყო აღმოსავლეთ საქართველოში“ **(წოწკოლაური, 2015: 457)**. ირანელთა შემოსევებისაგან განსაკუთრებით კახეთი დაზარალდა. ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში, რომელიც თან ახლდა შაჰ-აბასს და მოვლენათა თვითმხილველი იყო, კატასტროფულ შედეგებზე საუბრობს თავის ნაშრომში. „რაც თეიმურაზის ... ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე“ – წერს იგი **(ისკანდერ მუნში, 1969: 107).** მისივე სიტყვებით, ათი-ათასობით კახელი გაიყლიტა ბრძოლებში, ასი-ათასობით კი ირანში იქნა ტყვედ წაყვანილი **(ისკანდერ მუნში, 1969: 88-111).**

აღნიშნული შემოსევების დროს კახეთმა საშინელი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. კახელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ, უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ გოჯ მიწას, არც ერთ შენობას. მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა – შაჰ აბასის ჯარები დაუნდობლად ჩეხდნენ ბაღებსა და ზვრებს, ანგრევდნენ და წვავდნენ ქალაქებს, სოფლებს, ეკლესია-მონასტრებს. კახეთი მოსახლეობისაგან დაიცალა და ნანგრევებად იქცა.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს: ,,კახეთის მოთხრით შაჰ-აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა: ამით საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო. კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები შაჰის ერთგული დასაყრდენი იქნებოდნენ შორეულ კავკასიაში, ირანს გადასახლებული კახელები კი – კულტურული სოფლის მეურნენი და შაჰის ხელის შემყურე ერთგული მეომრები. მართლაც, შაჰის ყულის ჯარში ამ დროს12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა; დიდი უმრავლესობა ამათგან ქართველები იყო“ **(ბერძენიშვილი, 1973: 233).**

საინტერესოა, რომ არსებობს ცნობები, რომელთა მიხედვითაც, შაჰ-აბასი, ცდილობდა რა ირანში მეაბრეშუმეობის მაქსიმალურად განვითარებას, კახეთის სამეფოს დალაშქვრისას, გარდა იმისა რომ ყველაფერს სპობდა და კახელებს ტყვეობაში მიერეკებოდა, ძირიანად ათხრევინებდა თუთის ხეებს და ირანში აგზავნიდა

დასარგავად. ამით კახეთში მეაბრეშუმეობას სპობდა, ხოლო ირანში აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ ნედლეულის ბაზას ზრდიდა **(ჟორდანია, 1963: 140-151).**

შაჰ-აბასთან ბრძოლაში განსაკუთრებით კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი დაზარალდა, რომელსაც დაღესტნის მთები ესაზღვრებოდა. ლეკების მტრობის გამო მოსახლეობის ამ მთებში დახიზვნა-გადარჩენა ვერ მოხერხდა. პირიქით, „შაჰმა ოსტატურად ისარგებლა ამ ვითარებით და ყოველი მხრით ალყაშემორტყმულ ქვეყანას საკუთარ ყიზილბაშებთან ერთად დაღისტნელ აბრაგთა დასტები ასაოხრებლად მიუსია“ **(ბერძენიშვილი, 1966: 267).**

„გავერანების შემზარავ სურათს წარმოადგენდა კახეთი XVII საუკუნის 40-იან წლებშიაც კი – განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ე.ი. ძველი ჰერეთი. ოდესღაც აყვავებული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევებზე ტყე გაზრდილიყო, ცოცხალი სოფელი იშვიათი იყო. ქვეყანას დაღისტნელი აბრაგები მოსდებოდნენ. დარბეულ-ამოწყვეტილი-დიდად შემცირებული ქართული მოსახლეობა თავს ძლივს იცავდა ამ მტაცებელთაგან. წახურელ-ავარიელნი თანდათან ჩამოსხდნენ კაკ-ენისელის მთისძირა სოფლებში, სადაც ქართველი მოსახლეობა განვლილი კატასტროფისა და, შემდეგ, ბოლომოუღებელი ტყვევნა-ოხრების გამო მეტისმეტად ათხელებულიყო“ **(ბერძენიშვილი, 1966: 269).**

ასე დაედო სათავე ჰერეთის გავერანებას და ქართველთა ნასოფლარებზე ჯერ დაღესტნელი მოახალშენეების, შემდეგ კი მუღალების ჩამოსახლებას. თანდათან ქართულ მიწაზე გადამთიელი გამრავლდა და ძველი ჰერეთი ელისუს სასულთნოდ და ჭარ-ბელაქანად გადაიქცა, რომელთა საერთო სახელად საინგილო დამკვიდრდა.

ასეთი მძიმე შედეგები გამოიღო შაჰ-აბასის ლაშქრობებმა ჰერეთისათვის, ოდესღაც სისხლსავსე, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებული, ერთ-ერთი უმშვენიერესი და მოსახლეობის სიმრავლით გამორჩეული ქართული კუთხისათვის.

## §.2. დაღესტნური ტომების ეთნო-პოლიტიკური ექსპანსია ჰერეთში

XVII-XVIII საუკუნეებში იმდენად გახშირდა თავდასხმები საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტნის მხრიდან, რომ ამ მოვლენამ საქართველოში თავისი სახელიც კი შეიძინა – „ლეკიანობა“. ლეკთა თავდასხმები განსაკუთრებით ხშირი იყო ჰერეთზე და თავისი წარუშლელი კვალიც დასტოვა მის ისტორიაში.

ლეკიანობა ისეთივე გამანადგურებელი მოვლენა იყო ჰერების ცხოვრებაში, როგორც ყიზილბაშობა. დაღესტნელთა თავდასხმებმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ კუთხეში. XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფებოდა, სწორედ ამ დროს დაატყდა თავს ისედაც დაუძლურებულ ჰერეთს ლეკთა თავდასხმები. ისევე, როგორც ყველა დამპყრობელს, ლეკებსაც თავიანთი მოტივები გააჩნდათ ჰერეთში სალაშქროდ. უმთავერსი მიზანი კი ტერიტორიების დაპყრობა, მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნა და ტყვეების გატაცება იყო **(მეგრელიძე, 2011: 9).**

დაღესტნელთა მასობრივი ჩამოსახლება კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, ჰერეთის ქართულ სოფლებში, შაჰ-აბას I-ის  გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ დაიწყო და ირანისა და ოსმალეთის ხელშეწყობით სარგებლობდა. ლეკებს ორი არჩევანი ჰქონდათ: ან უნდა გაემაჰმადიანებინათ ადგილობრივი მკვიდრნი, ან ტყვეებად გაეყიდათ. ამიტომაც, დაღესტნელთა ჩამოსახლებას ჰერეთში მოსახლეობის სასტიკი შევიწროება და მათი გამაჰმადიანება ანუ „გალეკება“ მოჰყვა **(ბერძენიშვილი, 1966: 270).** მას შემდეგ, რაც ჰერეთში ლეკებმა ადგილობრივი ქართველი გლეხები ყმებად გაიხადეს, ეს კუთხე თანდათან სრულებით მოსწყდა კახეთის სამეფოს **(ჯაფარიძე, 2010: 13).** ეს პროცესი სასტიკის შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა.

თუმცა, ჰერეთის მიწების მიტაცება დაღესტნელებმა შაჰ-აბასის შემოსევებამდე დაიწყეს იმავე შაჰის ნება-სურვილით. „1604 წელს შაჰ-აბას I-მა, კახეთის მეფე ალექსანდრეს (1574–1605) მისი სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი კაკი გამოსთხოვა და ელისუს სასულთნო ჩამოაყალიბა. სულთნობა გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს ალიბეგ ვახვახიშვილს უბოძა. ამ ტერიტორიის სანაცვლოდ ვერაგმა შაჰმა კახეთის მეფეს

სპარსეთში სოფლები მისცა და ჯამაგირი დაუნიშნა. ამით მან კახეთის სამეფოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი წაართვა, რამაც ქართულ სახელმწიფოებრიობას საფუძველი შეურყია“ **(http://hereti-bykiko.blogspot.com/2012/06/blog-post.html).** ელისუს სასულთნოს ტერიტორიაზე (დაახლოებით თანამედროვე კახის რაიონი აზერბაიჯანში) წახურელი ლეკები ჩამოსახლდნენ. შაჰ-აბასის 1614-1617 წლების ამაოხრებელი შემოსევების შემდეგ კი ჰერეთის დანარჩენ ნაწილში (თანამედროვე ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები) ეტაპობრივად ავარიელი მოახალშენეები დამკვიდრდნენ.

კახეთის (=ჰერეთის) მიწაზე თანდათანობით მომრავლება-გაძლიერების შემდეგ, გათამამებული ლეკები უკვე აღარ ემორჩილებოდნენ კახეთის მეფეს, რასაც სასტიკი და ბოლომოუღებელი ომი მოჰყვა. დავით კახთა მეფე თავს არ ზოგავდა, რათა „ლეკური“ თემები კვლავ დაემორჩილებინა, მაგრამ მათთან ბრძოლა სულ უფრო ძნელდებოდა. 1706 წელს კახთა მეფე კაკ-ენისელის სამოურავოში გადავიდა და ქართულ სოფელ ვარდიანიდან ენისელის ლეკურ სოფლებს შეუტია. კახელები თავგამოდებით იბრძოდნენ, თუმცა დამარცხდნენ. უთანასწორო ომი მრავალ წელს გრძელდებოდა, რამაც კარგად აჩვენა, რომ დაღესტნელთა მოგერიება კახეთს ძველებურად აღარ შეეძლო, რისი უმთავრესი მიზეზიც არა დაღესტნელთა სიმრავლე ან მათი სამხედრო ნიჭი, არამედ კახეთის სოციალ-პოლიტიკური წყობა უფრო იყო. ეს ომი ჰერეთისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა, რადგან ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, განსაკუთრებით კი კაკ-ენისელში **(ბერძენიშვილი, 1966: 270-271).**

1723 წელს კახეთი აუჯანყდა დაღესტნელებს და დაამარცხა კიდეც, მაგრამ ჰერეთი კვლავ ლეკი დამპყრობლების გავლენის ქვეშ დარჩა. მალე აქ ახალი ლეკური საზოგდოებებიც შეიქმნა, რომელთა შორისაც მთავარი გახლდათ ჭარი **(ჯანაშვილი, 1910: 20).**

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ლეკებმა ისარგებლეს სპარსეთის დასუსტებით და თავდასხმები უკვე სპარსეთის სამფლობელოებზეც დაიწყეს. უფრო აქტიურად შეუტიეს კახეთსაც. თუ პირველ ხანებში ირანის მოხელეები დაღესტნელებს ქართველების წინააღმდეგ იკავშირებდნენ, მას შემდეგ, რაც ლეკებმა ამიერკავკასიაში

სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც შეუტიეს, ირანმა ლეკთა დამორჩილება ქართლ-კახეთის მეფეთა დახმარებით განიზრახა. სპარსეთი თვლიდა, რომ რადგანაც დავით II, ვახტანგVI სპარსეთის მოხელეები იყვნენ, ისინი მოვალენიც იყვნენ შაჰის სამეფო გარეშე მტრისგან დაეცვათ. დაღესტნელთა ამ თავდასხმების უკან, ძირითადად, ოსმალეთი და მისი პოლიტიკური ინტერესები იმალებოდა **(მეგრელიძე, 2011: 17).**

ოსმალეთი ლეკებს თავისი მიზნებისათვის იყენებდა. იგი მათში ერთმორწმუნე მოკავშირეს ხედავდა და ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებას მათი დახმარებით ცდილობდა. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1727 წელს ოსმალეთმა, იმის სანაცვლოდ, რომ ლეკებმა თავი არ დაზოგეს ისლამის გავრცელების საქმეში, საგანგებო ფირმანით მათ სამუდამოდ დაუმტკიცა ჰერეთის მიწები. ასე წარმოიშვა ახალი პოლიტიკური ერთეული ჰერეთში – უბატონო ლეკური თემების სახელმწიფო, რომელსაც ჭარ-ბელაქანი ეწოდა. ირანისა და ოსმალეთის ხელშეწყობით საქართველოს სამტროდ შექმნილი ეს პოლიტიკური ერთეული ქართველთა სასტიკი მარცხის მაჩვენებელი იყო **(ბერძენიშვილი, 1966: 274).**

ჭარ-ბელაქანი იყო საიმედო სადგური და დასაყრდენი საქართველოს სარბევ-საოხრებლად. ამიტომ იყო, რომ გარეშე მტრები აქტიურად ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას და შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებას. ლეკი აბრაგების ბუნაგის მოშლას და ჰერეთის დაბრუნების იდეას ქართველებიც არ ეშვებოდნენ. 1739 წელს ჭარი დაარბია და ააოხრა თეიმურაზ II-მ, მაგრამ საბოლოო დამორჩილება ვერ მოახერხა. 1750 წელს კი ერეკლესა და თეიმურაზის ერთობლივმა მოქმედებამ დაღესტნელების წინააღმდეგ ქიზიყში გამარჯვება მოიტანა **(ჯანაშვილი, 1910: 9-10).**

მეფეები ერეკლე და თეიმურაზი მრავალ გეგმას სახავდნენ ჭარ-ბელაქნელთა დასამორჩილებლად. ამ პრობლემის მოგვარების მხოლოდ ერთი გზა არსებობდა – მათი დაპყრობა, ქართველობის იქ აღდგენა და საინგილოს კვლავ შემოერთება. ქართველ მეფეებს ამ საქმეში რუსეთის დახმარების იმედიც ჰქონდათ **(ჯაფარიძე, 2010: 24).**

ჭარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს დამორჩილება-შემოერთების მიზნით ქართლ-კახეთის მეფეები შაქი-შირვანის ხანს აჯი-ჩალაბსაც კი დაუკავშირდნენ, თუმცა ამ მოქმედებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო – აჯი-ჩალაბმა კავშირი ჭარ-

ბელაქნელებთან შეკრა და 1751 წელს შაქი-შირვანისა და ლეკთა გაერთიანებულ ლაშქართან ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. ამ მარცხმა თეიმურაზსა და ერეკლეს აჩვენა, რამდენად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ლეკთა საკითხი **(ბერძენიშვილი, 1965: 201).**

ლეკიანობა განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754-1760 წლებში. ამ პერიოდში მთელი ქართლ-კახეთი ლეკთა ბრბოებით გაივსო. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაღესტნელთა ორგზისი ლაშქრობა 1754-1755 წლებში **(ბერძენიშვილი, 1965: 204),** რომელსაც ხუნძახის ბატონი ნურსალ ბეგი მეთაურობდა. 1754 წელს იგი ქართლ-კახეთის ასაოხრებლად დაიძრა. მართალია, მჭადიჯვრის ბრძოლაში მტერი რაოდენობით ჭარბობდა ქართველებს, მაგრამ ერეკლეს სამხედრო ნიჭმა ქართველებს გამარჯვება მოუტანა. ნურსალ ბეგი დამარცხებული დაბრუნდა დაღესტანში. 1755 წელს ნურსალ ბეგმა რევანშის აღება სცადა და ქართლ-კახეთის ასაოხრებლად მთელი დაღესტანი და ჭარ-ბელაქანი დარაზმა, თუმცა კვლავ მარცხი განიცადა. ქართლ-კახეთის ზედიზედ გამარჯვებამ დაღესტანს შიშის ზარი დასცა, რის შემდეგაც მშვიდობა ჩამოვარდა კახეთსა და ჭარს შორის, მაგრამ ლეკთა წვრილ-წვრილი შემოსევები ჯერ კიდევ დაუძლეველი დარჩა **(სინ,1973: 462).**

1760 წელს თეიმურაზ II რუსეთში გაემგზავრა იმ იმედით, რომ რუსეთის სამხედრო ან ფინანსური დახმარებით ლეკთა ალაგმვას შეძლებდნენ, სანაცვლოდ ქართველი მეფეები „ქართველთა საგანგებო ლაშქრით ირანში შევიდოდნენ, იქ სპარსელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და მას რუსეთისათვის სასურველ პირს ირანის შაჰად აარჩევინებდნენ“ **(ბერძენიშვილი, 1965: 207).** ქართველების ეს გეგმა გაბედული და გონივრულიც იყო. თეიმურაზი და ერეკლე ირანში რუსეთის ინტერესების გატარებით საქართველოში ირანის ბატონობის მოსპობას ცდილობდნენ. ამ საქმეში წარმატებას კი ლეკთა ალაგმვა და ჰერეთის დაბრუნება მოჰყვებოდა. მაშინ ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

ჰერეთის საკითხი რუსეთთან ურთიერთობაში შემდეგაც ფიგურირებდა. როცა 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის მხარეზე ჩაება, სხვა ამოცანების გადაჭრასთან ერთად, ერეკლე მეფე რუსეთის დახმარებით „ჭარ -ბელაქნის დაპყრობას

და ქართლ-კახეთში „ლეკიანობის“ მოსპობას აპირებდა“ **(ბერძენიშვილი, 1965: 217).** იგივე მიზნები ჰქონდა მას გეორგევსკის ტრაქტატთან დაკავშირებითაც **(ბერძენიშვილი, 1965: 231).**

1784 წელს რუსთა და ქართველთა ჯარებმა დაღესტნელთა შემოსევის კერას – ჭარს შეუტიეს და მუღანლოსთან გაიმარჯვეს კიდეც. ამ ბრძოლაში ლეკებმა 200, ხოლო ქართველებმა 40 მეომარი დაკარგეს. მიუხედავთ გამარჯვებისა, ამ ექსპედიციას რაიმე საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან ჭარ-ბელაქნის საკითხი ამის შემდეგაც გადაუჭრელი დარჩა ერეკლესათვის **(პაპუაშვილი, 2013: 143).**

ჭარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს, ანუ ძველი ჰერეთის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ფეოდალურ საქართველოს ხელი არასოდეს აუღია. როგორც ნ.ბერძენიშვილი მიუთითებს, „გამოხსნა“-„აღდგომისათვის“ მებრძოლი საქართველო ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტას ამ ბრძოლის წარმატების წინაპირობად სთვლიდა. კახეთის ამ ნაწილის ისევ კახეთთან შეერთება, ჭარ-ბელაქნის სახელმწიფოს მოშლა და აქ „ქართველობის“ აღდგენა ის ერთადერთი რამ იყო, რომელსაც არა მარტო ისტორიული სამართლიანობა, არამედ საქართველოს გადარჩენის ამოცანა კატეგორიულად მოითხოვდა“ **(ბერძენიშვილი, 1966: 275).**

ამიტომაც, ერეკლე მეფე და მისი გარემოცვა ყველგვარი საშუალებით ცდილობდა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ შესძლო და „აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლაში დამარცხებულმა ფეოდალურმა საქართველომ საინგილოს საკითხიც გადასაჭრელად ახალ საქართველოს უანდერძა“ **(ბერძენიშვილი, 1966: 275276).**

## §.3. ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის იმპერიაში

XIX საუკუნის დამდეგისათვის, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი საბოლოოდ გადაწყდა და იგი რუსეთის იმპერიამ დაიპყრო, ამიერიდან უკვე რუსეთის ინტერესის სფეროში მოექცა ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო. ამ ორი პოლიტიკური ერთეულის დაპყრობის საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ავითარებდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა.

რუსეთს საინგილოს დაპყრობით თითქოს სურდა ბოლო მოეღო ჭარ-ბელაქნელ ლეკთა და მათი მოკავშირე დაღესტნელების განუწყვეტელი თავდასხმებისათვის საქართველოზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ნიღბის იყო უკან ნამდვილი დაპყრობითი მიზნები იმალებოდა. ეს მიზნები ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. იმისათვის, რომ რუსეთს მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი კავკასიაში, აუცილებლად უნდა დაეპყრო ჭარ-ბელაქანი და ხელში ჩაეგდო მასზე გამავალი გზები. ეს ძალიან გაადვილებდა მთიანი დაღესტნის დამორჩილებას. გარდა ამისა, რუსი პოლიტიკოსები არ ივიწყებდნენ სავაჭრო კაპიტალის ინტერესებსაც. კერძოდ, სწორედ ჭარ-ბელაქანზე გადიოდა მათთვის საინტერესო სავაჭრო გზა: თბილისი-შემახია-ბაქო, რომელიც შემდეგ ირანისაკენ მიემართებოდა **(პაპუაშვილი , 2013:147-149)**

1803 წლის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ორი პოლიტიკური ერთეულის სამხედრო ძალის გამოყენებით დაპყრობა. 1803 წლის მარტში ციციანოვმა დასძრა კიდეც რუსული სამხედრო ექსპედიცია ჭარ-ბელაქნისკენ. ჭარელების მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუს და ქართველ ჯარისკაცთა ნაწილებმა ერთობლივი ძალით მოახერხეს ჭარ-ბელაქნის დაკავება **(კაკაბაძე, 1997: 69).**

1803 წლის 12აპრილს ჯერ ჭარის წარმომადგენლებმა, შემდეგ კი დანარჩენმა ლეკურმა საზოგადოებებმა რუსეთის მოჩილება აღიარეს. 17 აპრილს ჭარ-ბელაქნის თავისუფალ თემებთან რუსეთის ხელისუფლებამ დადო 11-პუნქტიანი ხელშეკრულება,

რომელიც, რა თქმა უნდა, უპირველესად მის სტრატეგიულ გეგმებსა და ინტერესებს ემსახურებოდა **(ტარტარაშვილი, 1987: 150).**

რუსრული ხელისუფლება შეეცადა ინგილოებისათვის, რომლებიც ლეკების მხრიდან ზეწოლის გამო იძულებული იყვნენ გარეგნულად ისლამი ეღიარებინათ, შინაგანად კი ქრისტიანულ განწყობას ინარჩუნებდნენ, აშკარად გაქრისტიანების პირობები შეექმნა. მკვლევარი ვ.ტარტარაშვილი წერს: „კავკასიის მთავარმმართველმა პავლე ციციანოვმა (იგივე ციციშვილი) საინგილოს მიწებში ჩასახლებული ჭარელი ლეკები რომ დაამარცხა (1803-1805 წწ.) და დაიმორჩილა, პირობა ჩამოართვა, რომ ისინი არ დაუშლიან ზაქათალის ოლქის ინგილოებს, რომ აღაშენონ ეკლესიები და აღიარონ ქრისტიანობა“ **(ტარტარაშვილი, 1973: 140).**

მიუხედავად 1803 წლის შეთანხმებისა, ჭარ-ბელაქანი ჯერ კიდევ არ იყო სრულად მორჩილებაში მოყვანილი, აქედან გამომდინარე ლეკები ინგილოებს ისევ არ აძლევდნენ რელიგიის საკითხში თავისუფალი არჩევანის საშუალებას – ისინი შიშობდნენ, რომ ინგილოების გაქრისტიანების შემდეგ რუსული კანონმდევლობა აღარ მისცემდა მათ მათზე ბატონობის უფლებას. 1830 წლის 25 თებერვალს პასკევიჩმა მასთან გამოცხადებულ ლეკთა წარმომადგენლებს გაქრისტიანებაში ხელისშეშლა ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენა კიდეც **(ტარტარაშვილი, 1987: 151-152).**

1806 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ჭარ-ბელაქანში ახალი ექსპედიცია მოაწყო, რისი მიზეზიც ჭარელთა მხრიდან ზავის პირობების დარღვევა და საქართველოზე განხორციელებული თავდასხმები გახლდათ. ექსპედიცია საბოლოოდ ჭარელთა დანებებით და მორჩილების გამოცხადებით დასრულდა. ამავე დროს ირანი და ოსმალეთი ამიერკავკასიის მაჰმადიან მფლობელებთან კავშირის დამყარებას და რუსეთის წინააღმდეგ მათ ამხედრებას ცდილობდნენ.

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 და 1828-1829 წლების, აგრეთვე, რუსეთ-ირანის 1804-1813 და 1827-1828 წლების ომების დროს აშკარად გამოვლინდა ჭარ-ბელაქნის სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა. რუსეთიც და მისი მოწინააღმდეგეებიც დაინტერესებული იყვნენ თუ ვისკენ იქნებოდა მიმართული ჭარელთა პოლიტიკური ორიენტაცია ომის მსვლელობისას. რუსეთს კარგად ჰქონდა გააზრებული ის რეალური

საფრთხეები, რაც ემუქრებოდა მის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში საომარ ვითარებაში ჭარ-ბელაქნთან დაპირისპირების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, რუსეთი ერიდებოდა ომების დროს  რაიმე კომფლიქტს ჭარ-ბელაქანთან **(პაპუაშვილი, 2013: 161-169).**

1826 წელს ჭარ-ბელაქანში რუსეთისათვის მეტად არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა იმ თვალსაზრისით, რომ ჭარელებმა მაშინვე ისარგებლეს ირან-რუსეთის მოსალოდნელი ომით და რუსეთის წინააღმდეგ დაიწყეს გამოსვლები. ისინი შეჩერებას არ აპირებდნენ. აჯანყების ორგანიზატორი გახლდათ ირანის გამგებელი აბას-მირზა, რომლის მოწოდებამაც უამრამ დაღესტნელს მოუყარა თავი. თუმცა, მალე დაღესტნელები იძულებული გახდნენ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებაზე ხელი აეღოთ, ვინაიდან რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომები რუსეთის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ გამარჯვებებმა რუსეთის სწრაფვა ჭარ-ბელაქნის საბოლოო დასაპყრობად გააორმაგა **(პაპუაშვილი, 2013:171-173).**

იქედან გამომდინარე, რომ 1830 წელს კვლავ ადგილი ჰქონდა ჭარ-ბელაქნის მხრიდან რუსთა წინააღმდეგ გამოსვლას, რუსეთმა დრო იხელთა და ბოლო მოუღო მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. დაპყრობის შემდეგ შეიქმნა „ჭარ-ბელაქნის ოლქი“. ამ ოლქის შემადგენლობაში მოექცა ელისუს სასულთნოც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ რუსეთმა მისი შინაური მართვა-გამგეობა კვლავინდებურად სულთნის განკარგულებაში დატოვა იმ ერთგულების გამო, რომელიც მან რუსეთ-ირანის ომის დროს გამოავლინა **(კაკაბაძე, 1997: 69-98).**

1840 წელს ჭარ-ბელაქნის ოლქი, ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა ბელაქნის მაზრის სახელწოდებით, 1842 წელს კი იგი კვლავ ცალკე ოლქად გამოიყო  და ეწოდა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი. ფაქტობრივად, რუსთა ამ მოქმედებას აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) გლეხთა მდგომარეობა არაფრით შეუცვლია და მათი დენაციონალიზაცია კვლავ გრძელდებოდა **(ჯაფარიძე, 2010: 34).**

რაც შეეხება ელისუს სასულთნოს, დანიელ ბეგის მიერ რუსეთისადმი ღალატის და შამილის მხარეზე გადასვლის გამო, რუსეთის მთავრობამ 1844 წლიდან იგი, როგორც ავტონომიური პოლიტიკური ერთეული გააუქმა და ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს

შეუერთა. საინტერესოა, რომ რუსეთის მთავრობამ, რომელმაც კარგად იცოდა ჭარ-ბელაქნის ისტორიული წარსული, რომ მთელი მისი ტერიტორია წარმოადგენდა კახეთის სამეფოს ნაწილს, ამასთან, ამ მხარის მკვიდრი როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი ქართველები უსამართლოდ იყვნენ დაბეგრილი ლეკების მხრიდან და რომ მთელი ეს მხარე ეკონომიკურად, კულტურულად და ისტორიულად საქართველოსთან იყო დაკავშირებული, დიდი მოლოდინის მიუხედავად, 1860 წელს რუსეთმა იგი შეუერთა არა თბილისის გუბერნიას, არამედ დაღესტნის ოლქს ზაქათლის ოკრუგის სახელწოდებით **(პაპუაშვილი, 2013: 212-218).** ამით ჰერები კიდევ უფრო დაცილდნენ საქართველოს და ქართველებს.

მოგვიანებით ჭარ-ბელაქანი  დაექვემდებარა კავკასიის მთის ხალხების სამმართველოს, თუმცა მმართველობის ასეთი ფორმაც არაეფექტური აღმოჩნდა. ამიტომ, გადაწყტდა ზაქათლის ოლქი თბილისის გუბერნიას მიერთებოდა. სამწუხაროდ, ამ საკითხს პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია **(პაპუაშვილი, 2013: 224).**

რუსეთისათვის არ იყო ხელსაყრელი და სასურველი ქართველი ერის კონსოლიდაცია და საქართველოს ეროვნული გამთლიანება. ცარიზმი არაქართველებად აცხადებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობასთან ერთად ინგილოებსაც. ამ გზით ქართველი ერის დაქუცმაცება-დაშლასა და სწრაფ ასიმილირებას ფიქრობდნენ. სწორედ ამ მცდელობის შედეგი გახლავთ ის, რომ ჩვენ დღეს მტკიცებაც კი გვჭირდება ინგილოების (და არამარტო ინგილოების) ქართველობისა **(ბერძენიშვილი, 1966: 280-281)**

მიუხედავათ იმ სასტიკი შევიწროებისა, რასაც ინგილოები ლეკთაგან განიცდიდნენ, ისინი  ფარულად მაინც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ. მუსლიმანური მოსახლეობის გარემოცვაში მყოფ ინგილოებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ოფიციალურად ეღიარებინათ მამა-პაპათა სარწმუნოება. ამ მხრივ მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა ჭარ-ბელაქანში რუსეთის ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშიც. ქრისტიანობის აღიარებას დიდი სიძნელეები ხვდებოდა. ამასთან, სანამ რუსეთი XIX საუკუნის 50-იან წლებამდე დაღესტნელი ტომების და, საერთოდ, კავკასიის საბოლოო დაპყრობისთვის იბრძოდა, იგი ერიდებოდა ჭარ-

ბელაქანში ქრისტიანობის გავრცელებისათვის რაიმე პრაქტიკული ღონისძიების გატარებას, ვინაიდან არ სურდა ჭარში მცხოვრები მუსლიმების უკმაყოფილების გამოწვევა. ქრისტიანობის პროპაგანდა ნაადრევად მიიჩნეოდა იმ დროისათვის **(დუმბაძე,1953: 497).**

1850 წელს ინგილოთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო, რადგან ამ პერიოდიდან ქრისტიანობის გავრცელებამ ფართო ხასიათი მიიღო ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში. თუმცა, 1863 წელს ვითარება ამ მხრივ კვლავ მკვეთრად შეიცვალა. მუსლიმანური მოსახლეობა სასტიკად დაუპირისპირდა ქრისტიანობის გავრცელების პროცესს ინგილოებში, რასაც შედეგად ინგილოთა დიდი ნაწილის კვლავ გამაჰმადიანება მოჰყვა. რუსეთის ხელისუფლებამ კი ასეთ სიტუაციაში უკან დაიხია და არ დაეხმარა ადგილობრივ ქართველებს მაჰმადიანთა გაღიზიანების შიშით **(ჯაფარიძე, 2010: 31-34; ტარტარაშვილი, 1973: 142-143).**

რუსეთის მიერ 1830, 1838, 1869, 1874 წლებში ჭარ-ბელაქანში გატარებული ღონისძიებების საშუალებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცარიზმმა საინგილოში ოფიციალურად ცნო ლეკი აღარელების მემამულეობა და ისინი მათ მიერ მიტაცებული კახეთის სამეფოს ყოფილი მიწა-წყლის და ამ მიწაზე მცხოვრებ მკვიდრი ქართველი ინგილო გლეხების კანონიერ მფლობელად აღიარა. ასე რომ, რუსეთის ხელისუფლებამ ქართველებს არა თუ მიწა-წყალი არ დაუბრუნეს, ქრისტიანობაც კი ვერ აღუდგინა **(პაპუაშვილი, 2013: 215).**

არახელსაყრელმა პოლიტიკურმა ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ჰერეთის ქართველობა. საუკუნეების მანძილზე ბევრი საქართველოს სხვა კუთხეებს შეეხიზნა, ბევრი მოსულ გადამთიელს შეერია. თავიან მამა-პაპეულ მიწაზე ჰერები ცოტანი დარჩნენ. მოსე ჯანაშვილი ზაქათალის ოლქზე დანანებით წერს: „1886 წელს მაზრაში იყო 74 449 მცხოვრები ... გვარტომობით: 40 225 ლეკი, 21 090 თათარი (მუღალი), 12 430 ქართველი, 521 სომეხი, 8 პოლონელი და 8 ურია ... უწინ მთელი ეს ძირობა, მთელი ეს კუთხე ეჭირა ქართველობასო“ **(ჯანაშვილი, 1910: 6).** ხოლო ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელმაც 1890-იან წლებში რამდენჯერმე იმოგზაურა ჰერეთში, გვამცნობს: „ოლქს ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს. იგი

პოლიტიკური თვალსაზრისით ორი კარგად ჩამოყალიბებული ნაწილისაგან შედგება: ყოფილი ჭარ-ბელაქნის ოლქისა და ელისუს სასულთნოსაგან. ამჟამინდელი ზაქათალის ოლქის ტერიტორია შეადგენს 3497,5 კვ.კ. რომელზეც 80 000 ადამიანი ცხოვრობს ... აქაურებისაგან ხშირად გაიგონებთ, ზაქათალის ოლქი საქართველოს მარგალიტია, ხოლო სოფელი კაკი ტავისი მდიდარი მცენარეული საფარით მისი მშვენებაა. ეს საუცხოო კუთხე ძველთაგანვე ქართველებით იყო დასახლებული, მათ არც ისე დიდი ხნის წინათ ეწოდათ ინგილოები“ **(ხახანაშვილი, 2005: 31-32).** შემდეგ დასძენს: „ალბანეთის ნაწილი, რომელიც ქართულ მატიანეში ცნობილია, როგორც ჰერეთი (დღევანდელი ზაქათალის ოლქი), დასახლებული იყო ქართველებით. მართალია, ამჟამად ოლქის ძველ მკვიდრთა შთამომავლები – ინგილოები მხოლოდ რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ გეოგრაფიული ნომენკლატურა აქ ქართული მოსახლეობის შორეული დროიდან არსებობაზე მიუთითებსო“ **(ხახანაშვილი, 2005: 33).**

ასე დაამცრო ავმა დროებამ ოდესღაც სისხლსავსე ქართული კუთხე, მაგრამ გაუტეხელი ჰერები, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ინარჩუნებდნენ საკუთარ სახეს და ქართული ეროვნული ცნობიერება მათ დღევანდლამდე მოიტანეს.

# თავი III - ჰერეთის პრობლემატიკა და XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესა

## §.1. ჰერეთი და გაზეთი „დროება“

ჰერეთის გეო-სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა მის მიმართ ძლიერი დაინტერესების არსებობა, მტრების შემოსევები, აოხრება-გავერანება და დასუსტება. მომხდურთა შემოსევებისას, ჰერეთს, არცთუ იშვიათად, მარტო უწევდა თავის დაცვა. ეს კი ჰერთა საბრძოლო ძალების გამოფიტვას იწვევდა, რასაც, თანდათანობით, ჰერეთის დაპყრობა და ასიმილაციის პროცესის დაწყება მოჰყვა სხვადასხვა ხალხებთან, როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით. თუმცა, აჭარის მსგავსად, ჰერეთმა, იგივე საინგილომ, ძალადობის მიუხედავად, მაინც შესძლო შეენარჩუნებინა მშობლიური ენა და, რაც მთავარია, ხსოვნა თავისი წარსულისა, ხსოვნა იმისა, რომ ისინი ქართველები არიან, ქართული მიწის მკვიდრნი.

ასრათ ომარაშვილი წიგნში – „წერილები საინგილოზე“, მიიჩნევს, რომ „მტრებთან ბრძოლაში საინგილომ ადგილობრივ მკვიდრთა შორის დაკარგა ის პოტენციური მწერლები, რომლებიც შესძლებდენ და დაგვიტოვებდნენ მატეანეს საინგილოსას. თუმცა, საქართველოს სხვა კუთხის პუბლიცისტებმა, მწერლებმა და მკვლევრებმა შესძლეს გაეცნოთ საზოგადოებისათვის ისტორიული ჰერეთის (საინგილოს) წარსული“ **(საბაშვილი, 2017: 106).**

ისტორიული ჰერეთის ტკივილიანი წარსულის საზოგადოებისათვის კარგად ჩვენება შესაძლებელი გახადა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულმა პრესამ. მოწინავე ადგილს ამ ისტორიული პრობლემის გაშუქებაში იკავებენ გაზეთები „დროება“ და „ივერია“.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართულმა პრესამ, კერძოდ კი „დროებამ“, შემოგვინახა ცნობები საქართველოს ერთიან სხეულს მოწყვეტილი ამ ულამაზესი მხარის შესახებ, რომელიც ხშირად ყოფილა მტრის სამიზნე. რაც ყველაზე სამწუხაროა, ქართველთა გულგრილობით, კახეთის ეს უძველესი მხარე დღეს საქართველოს შემადგენლობაში

აღარ არის. როგორც აღვნიშნეთ, ამ მხარის ისტორიული და კულტურული სურათი გაზეთმა „დროებამ“ კარგად ასახა. გაზეთის ფურცლებზე კარგადაა წარმოჩენილი ჰერების წარსული და თანამედროვეობა, კულტურა, ტრადიციები, მათი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა.

რაც შეეხება გაზეთ „დროებას“, გვინდა მის შესახებ მოკლე მონახაზი გავაკეთოთ და აღვნიშნოთ, რომ ის გახლდათ პირველი ევროპული ტიპის გაზეთი. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1866 წლის 4 მარტს, გიორგი წერეთლის რედაქტორობით. გაზეთი ფუნქციონირებდა 1885 წლამდე. ამ დროის განმავლობაში გაზეთ „დროების“ ბევრ ნომერში დაეთმო ადგილი ჰერებს და მათ პრობლემებს. „დროება“ გახლდათ საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა, რომელიც თავისი თემატიკით ძალიან მრავალფეროვანი გაზეთი იყო. გაზეთის რედაქტორები სხვადასხვა წლებში იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი (https://ka.wikipedia.org/wiki/დროება_( XIX_საუკუნე)).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დროებამ“ უამრავ ნომერში დაუთმო ადგილი ცნობებს საინგილოს შესახებ, რომლებიც ერთი მეორეზე საინტერესო ფაქტებით იყო გაჯერებული. მთავარი ის გახლავთ, რომ თავად მთხრობელნი უშუალოდ მონაწილენი იყვნენ ჰერეთში მიმდინარე პროცესებისა, რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს წარმოდგენილ მასალებს.

მეტად საინტერესო ცნობებია დაცული 1866 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის ავტორიც უცნობია. სტატია უფრო მეტად პოლიტიკური შინაარსის ცნობებს შეიცავს საინგილოს ისტორიის შესახებ. იგი საინტერესოა თავისი დაბეჯითებითი და არგუმენტირებული მტკიცებულებით იმის თაობაზე, რომ საინგილო, უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართული მიწის შემადგენელი ნაწილი იყო, მისი მკვიდრნი კი ქართველები. წერილში გაკრიტიკებული და მხილებულია სომეხი მწელების ფალსიფიკატორული მტკიცება იმისა, თითქოს ალბანია, იგივე „აღვანი“, რომლის შემადგენლობაშიც ერთ დროს თავად საინგილოც იყო მოქცეული, მთლიანად წარმოადგენდა სომხეთის ნაწილს, ხოლო იქ მცხოვრები ინგილოები – სომხების შთამომავალთ. ავტორი სტრაბონის მონაცემებსა და ქართულ

წყაროებზე დაყრდნობით აბათილებს ამ უსაფუძვლო შეხედულებებს **(„დროება“, 1866, №43:1).**

ლეკიანობა, ყიზილბაშობა – ეს ის ისტორიული მოვლენებია, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჰერების ისტორიაში. ადამიანთა უმოწყალო ხოცვა, ნგრევა და გადასახლება – ეს ის ჩამონათვალია, რაც შაჰის შემოსევებმა მოუტანა ჰერეთს. 100 000 ზე მეტ გადასახლებულს ითვლის თავად ისქანდერ მუნში, 60 -70 000 კი დახოცილსო – მიუთითებს წერილის ავტორი. კახელების გადასახლება შაჰმა მოახდინა მაზანდარანს, ხორასანსა და ფერიაში; ძალიან ბევრი გადაუსახლებიათ ჰერეთიდან თავად ლეკებსაც დაღისტანში, რისი ზუსტი მონაცემიც უცნობი ავტორის გადმოცემით არ არსებობს, თუმცა იქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რა რაოდენობის სოფლებია დაცარიელებული, მაშინ უკვე წარმოდგენა ნამდვილად არ გაგვიჭირდებაო. უთვალავი რაოდენობის ხალხი ამოუწყვეტიათ და გადაუსახლებიათ ლეკებს. უცნობი ავტორი შენიშნავს, ერთი საუკუნე რომ გაეტანა ლეკიანობას, დაღისტანი საქართველოდ გადაიქცეოდა, საქართველო კი დაღისტნადო **(„დროება“, 1866, №43:1).**

წერილი მომდევნო ნომერშიც გრძელდება. ავტორი აღწერს ჰერეთის მდგომარეობას, მის ბუნებას. გვაცნობს ლეკების, თათრების ანუ მუღალების, ქართველების ანუ ინგილოების სოფლებს. ერთგან შენიშნავს, რომ „ახლანდელს ჭარს ძველათ რქმევია ფიფინეთი. აქ ლეონ მეფეს დაუსახლებია ლეკები, რომელთაც ხარკათ სდებიათ კავკასიის მთიდამ ყინულის ზიდვა. ჭარი დარქმევია იმას არჩილის შემდეგ“ **(„დროება“, 1866, №44:1).** მიუთითებს, თუ როგორ თადათან განიცდის ინგილოთა მეტყველება ლეკურისა და თათრულის გავლენას. აღნიშნავს ჰერების შრომისმოყვარეობასაც: „ინგილოები თათრებზედაც და ლეკებზედაც შრომის მოყვარენი უფრო თურმე არიან. ისინი ამბობენ, ჩვენ რომ არ ვიყვნეთო, თათრები და ლეკები შიმშილით დაიხოცებოდენო: ჩვენით უდგათო იმათ სული“. წერილის ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჰერების მძიმე ისტორიულ წარსულს. მისი სიტყვით, „საქართველოს მხარეებში არც ერთს იმდენი წვალება და ვაი-ვაგლახი არ მისდგომია, როგორც საინგილოს. ლეკს ის ყოველთვის უტანჯავს. საკვირველია, ან როგორღა შერჩენია იმას აქამომდე სული. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგილოები თუმცა

ძალას და სიმრავლეს დამონავებიან, მაგრამ კერპულის ხასიათით და ვაჟკაცობით თავი დაუცვავთ; მტერს იმათი ჰშინებია. თათრები ხომ, როდესაც იმათ განსაცდელი მიადგებოდა, ინგილოებს თურმე მიჰმართავდნენ. ახლაც რომ ორი-სამი ლეკი შეჰხვდეს ინგილოს, ის არ უშინდება და ამაყათ პასუხს აძლევს“ **(„დროება“, 1866, №44:2).** მტრის ძალადობის მიუხედავად, ჰერები ქრისტიანულ სარწმუნოებასა ინარჩუნებდნენ. ძალად გამაჰმადიანებულებიც კი პატივს სცემდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს. „კახში მოსე ხუციშვილის სახლში კიდობანში აქვთ დამალული ბარძიმ-ფეშხუმი, ჟამნი, კონდაკი და სახარება, დაბეჭდილი ვახტანგის დროს. იმათ ყველანი ლოცულობენ; გამაჰმადიანებულიც კი ამ სახარებაზე იფიცებს; აღდგომა დღეს სანთლებს უნთებენ და ღორის ხორცით იხსნილებენ“ – მიუთითებს პუბლიკაციის ავტორი **(„დროება“, 1866, №44:2).**

ის ძირითადი მიზანი, თუ რატომ ეთმობოდა „დროების“ ფურცლებზე ამდენი ადგილი საინგილოს პრობლემატიკას, გახლდათ ის, რომ თავად პუბლიცისტებს არ უნდოდათ საზოგადოებაში დავიწყებას მისცემოდა ჰერეთის ისტორია და საერთოდ ჰერეთი. 1867 წელს გამოქვეყნებულ, ჰერეთისადმი მიძღვნილ ერთ წერილში – „წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“, პუბლიკაციის ავტორი წუხს, რომ ინგილოები ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულან სათანადოდ და ვერ აქტიურობენ, რომ თავიანთი მდგომარეობა უკეთესობისაკენ შესცვალონ, და რომ დანარჩენი ქართველობაც სათანადოდ არ არის ჩახედული ჰერების საკითხში. „დროებამ“ რამდენიმე წერილი მიუძღვნა ინგილოების (ჰერების) პრობლემებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არისო, აღნიშნავს იგი. აღწერს რა საინგილოში (იმ დროისათვის ზაქათალის მაზრა) არსებულ ვითარებას, ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „მოხსენებულ ხალხებში არც ერთს არ დაუტოვებია ისტორიული ნიშნები თავის ცხოვრებისა ზაქათალის მაზრაში, ქართველებს გარდა. მთელი ეს ქვეყანა რომ აუარო და გადმოუარო, სიგრძეზე და სიგანეზე, თითქმის ყოველ ვერსზე გაუთლელი მტრისაგან დაქცეული ეკლესიები დაგხვდებათ. ესენი არიან მოფენილი სოფლებში, მინდვრებში და ტყე-ღრეებში. ერთი სიტყვით, სადაც ეკლესია არ გეგულებთ, ის იქ დგხვდებათ. ზოგი ამათგანი მთლათ არის

შენახული თავის მშვენიერი გუმბათებით, მაგრამ ნახატი არ ეტყობა“ **(„დროება“, 1867, №45: 4).**

ეკლესიების ასეთი მდგომარეობა არცაა გასაკვირი. თავს დამტყდარი მტერი ყოველთვის ცდილობდა პირველი იერიში სწორედ ენასა და სარწმუნოებაზე მიეტანა. ასე მოხდა საინგილოს შემთხვევაშიც. როგორც ლეკები, ასევე ირანელები ცდილობდნენ საინგილოში საბოლოოდ გაენადგურებინათ ქრისტიანობა და დაემკვიდრებინათ ისლამი, გაექროთ ქართული როგორც ენა, აღმოეფხვრათ ყველაფერი ის, რაც ხაზს გაუსვამდა ინგილოების ქართველობას. თავად ადგილებსაც კი უცვლიდნენ სახელებს. ქრისტიანობის საბოლოოდ წახდენის მიზნით, იერიში მიჰქონდათ ეკლესიებზე. სწორედ ამიტომაც იყო ზაქათალის მაზრაში უამრავი, ნანგრევების სახით შემონახული ეკლესია, რომლებსაც მძიმედ დასტყობია მტრის ხელი.

სტატია –„წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“, გრძელდება გაზეთ „დროების“ 1867 წლის 46-ე ნომერში. ავტორი მჭერმეტყველად აღწერს ჰერეთის არქიტექტურისა და ისტორიის ძეგლებს. „გარდა ეკლესიებისა მაზრაში არიან მრავალნი შენობანი და ციხე-დარბაზნი. ამათში შესანიშნავნი არიან ქვითკირის კედელი და ქურმუხის ციხე-დარბაზი. კედლის გავლებას თამარ დედოფალს აბრალებენ. ის არის დაწყებული გულგულიდამ და მიდის ბელაქნამდე. სიგრძე იქნება 70 ვერსი და სიმაღლით არის სამ არშინ ნახევარი. ზოგიერთ ალაგს შიგა და შიგ კოშკები აქვს. ერთი ამათგანი ეხლა ხანს თალალელებმა (ლეკებმა) დააქციეს. ესენი ისე მაღალნი არიან, კაცი უკიბოთ ვერ ავა. ჩვენ საქართველოში არსად უნდა იყოს ამ გვარ ეგვიპტური შენობა“ – მიუთითებს წერილის ავტორი, ანუ ხაზს უსვამს ჰერეთის კედლის გრანდიოზულობას, ეგვიპტურ პირამიდებთან ავლებს პარალელს **(„დროება“,1867, №46:3).**

წერილში საუბარია, აგრეთვე, ჰერეთის XVI-XIX საუკუნეების ისტორიის მომენტებზე; ქართველების სოფელ კაკისა და ძველი გიშის ურთიერთ-მიმართებაზე; კაკის ადრინდელ სიდიადესა და იმ ფაქტზე, რომ „კაკი უწინდელ დროში ქალაქი ყოფილაო, მცხოვრებნი ძლიერ ბევრი ჰყოლიაო“; ელისუს სასულთნოს წარმოშობასა და ელისუს სულთნების წარმომავლობაზე; იმ ფაქტორებზე, რამაც ჰერეთის ამ ნაწილში ქართული ცნობიერების შენარჩუნება განაპირობა **(„დროება“,1867, №46:3-4).**

სხვათა შორის, საინტერესო ფაქტია, რომ ავტორი დაბეჯითებით მიუთითებს წახურელი „ლეკების“ ოდინდელ ქართველობაზე. „წახურელები, როგორც თვითონვე ამბობენ, შთამომავლობით ქართველნი არიან, მაგრამ ჟამთა ვითარება რომ შეცვლილა, მაშინ მიქცეულან. რომ მართლაც ჩვენი მამა-პაპა უწინ ქრისტიანები ყოფილანო, ამბობენ ისინი, ამტკიცებს ქვაზე ზედ წარწერილი, რომელიც წახურის სასოფლო მეჩითის ქვითკირში არის ჩატანებულიო. იმათ ქართველობას შთამომავლობით ისიც ამტკიცებს, რომ ისინი სადავო საქმეებში ყოველთვის ექომაგებიან კაკელებს იმ საფუძველზე, რომ ჩვენ ერთნი ვართო“ – განმარტავს ავტორი **(„დროება“,1867, №46:4).**

ზემოთ განხილული წერილი გრძელდება გაზეთ „დროების“ 1867 წლის 47-50-ე ნომრებშიც.

47-ე ნომერში ავტორი ხაზს უსვამს, რომ „ინგილოები შთამომავლობით არიან ქართველნი“, რომ „იმათ ქართველობას ამტკიცებს მათი ენა“. აქვე იგი გამოთქვამს თავის შეხედულებას ინგილოების (ჰერების) რაოდენობის შესახებ. „ინგილოები ცხოვრობენ მუღალისა და ლეკებისაგან ცალკე. რიცხვი სოფლებისა არის 16. რიცხვი კომლებისა კიდე, ჩემის აზრით, უნდა იყოს 5 490, სული კიდე 12 666. ამათში ქრისტიანი: 2000 კომ.“ – გამოთქვამს ვარაუდს ავტორი **(„დროება“,1867, №47:3).**

ავტორი ეხება ინგილოებისა და ლეკების ურთიერთობებს და ნათლად გვიხატავს იმ მძიმე ყოფას, რაშიც უწევდა ცხოვრება ჰერეთის ქართველობას. როგორ თავხედურად და უზომო რაოდენობით ართმევდნენ თავიანთ დაწესებულ ბეგარაში სარჩო-საბადებელს მშრომელ ინგილოს გაბატონებული ლეკები, როგორ ავალდებულებდნენ გამოეკვებათ ისინი და თან როგორ შეურაცყოფდნენ მათ თავმოყვარეობას, წინააღმდეგობის გაწევისათვის კი სასტიკად სჯიდნენ. „ილისოს სულთანს და მის ქვეშევრდომ ლეკებს უფრო უწუხებიათ ინგილოები, ვიდრე ჭარელებსო“ – მიუთითებს ავტორი და იქვე თვითონვე დასძენს, რომ ეს მხოლოდ შედარებით, თორემ ჭარელებიც დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ ელისუელებს სისასტიკითო. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ინგილოები სულიერად არ დამონებულან და ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით ძიობდნენ შურს მოძალადეებზე **(„დროება“,1867, №47:3-4).**

სტატიის – „წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“ – გაზეთ „დროების“ 1867 წლის 48-ე ნომერში გამოქვეყნებულ ნაწილში ავტორი კვლავ ინგილოთა მძიმე ყოფაზე საუბრობს და მკითხველს ღრმად ახედებს ინგილოთა ყოველდღიურობაში. აქვეა საუბარი იმ მასობრივ ნათლობებზე, გამაჰმადიანებულ ინგილოებში რომ დაიწყო 1851 წლიდან და მრავალიც მოინათლა, მაგრამ, სხვადასხვა მტკივნეულ მიზეზთა გამო, ეს ტენდენცია შენელდა და ბევრი გაქრისტიანებული ისევ გამაჰმადიანდა **(„დროება“,1867, №48:3-4).**

49-ე ნომერში, ძირითადად, საუბარია ჰერების ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე. ძალიან მხატვრულად, დაწვრილებით არის აღწერილი მათი ქორწილი, აგრეთვე, საშიანაო ყოფის ელემენტები **(„დროება“,1867, №49:3-4).**

სტატიის დასკვნით, 1867 წლის 50-ე ნომერში დაბეჭდილ ნაწილში ავტორი, ძირითადად, საუბრობს ინგილოების ქონებრივ მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბეგარის გადახდა უწევთ მიწით სარგებლობის სანაცვლოდ, შეძლებით მაინც ბევრად სჯობიან ლეკებსაც და მუღალესაცო – მიუთითებს იგი. ამას სხვებიც აღიარებდნენ. ზაქათალის ოლქში მცხოვრები სომხები აღნიშნავდნენ, რომ „ინგილოს ვერც ჭარელი ლეკები, ვერც მუღალები ცხოვრებით ვერა სჯობიაო ... მთელს ზაქათალას მაზრაში ინგილოებსავით მდიდარნი და ცხოვრებით გამშვენიერებულნი არავინ არ არისო. ამათ საჭმელ-სასმელი უხვიერათა აქვთო“ **(„დროება“,1867, №50:2).** ავითარებს რა აზრს ინგილოების ქონებრივი სიმსუყის შესახებ, ავტორი იქვე სვამს კითხვას: „სად იშოვეს ინგილოებმა ეს სიმდიდრე? როგორ მოხდა, რომ ისინი ლეკებს ხარჯს აძლევდნენ და კიდევაც აძლევენ და ამასთანავე იმათზე მდიდარნიც არიან? დასაჯერია მათი სიმდიდრე?“ და თვითონვე სცემს პასუხს: „აქ გასაკვირი არაფერი არის: მათი სიმდიდრე დასაჯერია“; და ამის მიზეზად ინგილოების შრომისმოყვარეობას და სიბეჯითეს ასახელებს ლეკებთან და მუღალებთან შედარებით **(„დროება“,1867, №50:2).**

თავის გრძელ წერილს ავტორი შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „აი ამგვარი არის წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება. მეც ესა მქონდა სათქმელი ჩემს მოძმე ინგილოებზე; ვინც ამაზე მეტი იცის, აქვს რაიმე ისტორიული ფაკტი და გამოაცხადებს „დროებაში“, ძრიელ კარგი იქნება. მე ძლიერ მადლობელი ვიქმნები იმ კაცისაგან,

რადგან ძლიერ მსურს შევიტყო ისტორიული ცხოვრება ზაქათალის მაზრაში მცხოვრებ ქართველებისა, უფრო ამისათვის, რომ მეც ამათ ვეკუთვნი“ **(„დროება“, 1867, №50:3).** მართლაც, ავტორი სტატიას „ინგილოს“ ფსევდონიმით აწერს ხელს. როგორც ცნობილია, „ინგილოს“ ფსევდონიმით პრესაში წერილებს ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, წარმოშობით ჰერი, მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი აქვეყნებდა ხოლმე. ჰერეთთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე „მამა დიმიტრი თავის ისტორიულ-პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა "დროების", "ივერიის", "მნათობის", "ცისკრის", "მოგზაურის", "მოამბის", "ნობათის" ფურცლებზე“ **(სპანდერაშვილი, 2008).** სხვა მხრივაც ძალიან ზრუნავდა თანამემამულეებზე. ამ პატრიოტ ადამიანს დიდი დამსახურება აქვს თავისი მშობლიური კუთხის წინაშე.

1867 წელს „დროების“ 24-ე ნომერში „ინგილოს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია დიმიტრი ჯანაშვილის კიდევ ერთი წერილი „ქიზიყელები ინგილოებში“. პუბლიკაცია ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ქიზიყიდან ჰერეთში საშოვარზე გასულ გლეხებს ეხება. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რა მძიმე შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს შრომისა და რწმენისადმი არასწორმა დამოკიდებულებამ. წერილში ხაზი აქვს გასმული ჰერეთის დოვლათიანობას და უხვმოსავლიანობას. „ინგილოების მიწა კი, რაგინდა უმოსავლობა იყოს საქართველოში, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ მთესველს იმდენი არ მისცეს, რომ იმას წლითი წლობამდე არ ჰყოფნიდესო“ – აღნიშნავს ავტორი **(„დროება“, 1867, №24:1-3).**

საინტერესო ფელეტონია გამოქვეყნებული გაზეთ „დროების“ 1878 წლის 234-237-ე ნომრებში სათაურით „მოგზაურობა საინგილოში“. ამ ვრცელი წერილის ავტორი გახლავთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჰერეთის კუთხის შვილი, ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი.

წერილში ავტორი აღწერს სამი ქართველი მამულიშვილის მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მოძალადეთა საჯიჯგნად ქცეულ ჰერეთში. მოგზაურთა წინამძღოლი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ოდესღაც ძლიერი და მოწინავე ქართული კუთხე ახლა ძველი დიდების აჩრდილიც კი აღარ არის. იგი გარე-კახეთად მოიხსენიებს ჰერეთს და სინანულით ამბობს, რომ „მწარე და საგლოვო იყო მე-XIII, მე-XIV, მე-XV და შემდეგი

საუკუნეები ჩვენი გარე კახეთისათვის ... სპარსეთის შაჰის სპასალარები რომ შამოესეოდნენ საქართველოს, პირველათ ჩვენს გარე-კახეთს ააოხრებდნენ და მერე ქართლ-კახეთს მიესეოდნენ ხოლმე ... ასე ამ ბრძოლაში და ვაი-ვაგლახში აქაური ხალხი ნელ-ნელა ამოწყდა და ნელ-ნელა დაკარგა თავისი სჯული, ენა და უწინდელი ჩვეულებანიც“ **(„დროება“,1878, №234:1-3).**

ავტორი მიუთითებს ძველი ნაგებობობათა ნაშთების სიმრავლეზე, რომლებითაც მოფენილია საინგილო. განსაკუთრებით მრავლადაა ეკლესიების ნაგრევები. მაგალითად ბელოქანისა და სოფ. ლექეთის ირგვლივ. ადგილობრივი მოსახლეობა მათ აგებას თამარ მეფეს მიაწერს. სოფ. ლექეთთან მოგზაურებმა ნახეს ჟამთა სიავისაგან დაზიანებული, თეთრი თლილი ქვით ნაგები მშვენიერი ეკლესია. „ეს ეკლესია, სთქვა ერთმა, სწორეთ მომაგონებს მე ქუთაისის გორაზე მყოფ უწნიდელ ეკლესიასა, რომელიც აღაშენა ბაგრატ მეფისაგან მეთერთმეტე საუკუნეში. სწორეთ იმტელა და იმ სახით არის ესეც აშენებული“ **(„დროება“,1878, №235:1-3).**

მოსე ჯანაშვილი თავისი ფელეტონის პერსონაჟების პირით ჰერეთის ბევრ პრობლემურ საკითხზე საუბრობს. აი, სოფ. კახთან მოგზაურებმა თეთრი თლილი ქვით ნაგები კასრის საყდრის ეკლესია იხილეს, რომელიც ავისმოსურნის ხელს დაუზიანებია. „ეკლესიის დაღრეჯილი მდგომარეობა ჩვენ ცხადად გვეუბნება, რომ მას როდისღაც სწვევია ხელში წერაქვიანი და გრდემლიანი სტუმარი, რომელსაც ამ იარაღებით მისი გვერდები და ზევითური თაღი შეუმტრევია და ალხან-ჩალხანათ უქცევიათ“ **(„დროება“,1878, №236:1).** ასეთივე დღეში იხილეს მგზავრებმა წმ. გიორგი ქურმუხის საყდარი, ჭანდარა საყდარი და სხვა ბევრი ეკლესია. მათი საუბრით საინგილოში შევხდებით ეკლესიებს , რომლებზეც ისტორიაში საერთოდ არავითარი ცნობა არაა შემონახული. მათივე დაკვირვებით ჰერეთში ეკლესიები, ძირითადად, მტრისთვის მიუვალ და შემაღლებულ ადგილებშია ნაგები, რადგან მოსახლეობა სწორედ ასეთ ადგილებში იხიზნებოდა მტრის თავდასხმის დროს, ეკლესიები კი ერთგვარ სათვალთვალო და თავშესაფარებელ პუნქტსაც წარმოადგენდა. ავტორის გადმოცემით, ჰერეთი გახლავთ კუთხე , რომელიც ბევრ ისტორიულ მასალასა და ნაშთებს ინახავს, რაც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს **(„დროება“,1878, №236:1-3).**

მგზავრებს ხშირად ხვდებოდათ თეთრი ქვით ნაგები ეკლესიათა ნაშთები, ასე გრძელდებოდა მოგზაურობის დასასრულამდე. ყოველივე ეს ძველი ჰერების რწმენის სიმტკიცესა და ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებდა. ფელეტონის ბოლოს მ. ჯანაშვილი წერს: „ამ სტატიის წერაში ვცდილობდი გადმომეცა მკითხველისათვის ნამდვილი და ჭეშმარიტი ფაკტები. წერის დროს იმ აზრით ხელთმძღვანელობდი, რომ მიმექცია ყურადღება ქართველთა მკითხველისა ამ გამოჩენილ და მეტათ საინტერესო ადგილთადმი. ეს ყურადღება ძვირად ღირს ინგილოებისათვის ... 1865 წლიდამ მოკიდებული ჩვენს გაზეთებში გამოდის საინგილოზე წერილები. იმ დრომდე ჩვენმა ქართველებმა თითქმის არ იცოდნენ, რომ გარეთ-კახეთში არის ქართველი ხალხი – ინგილოები. მას აქეთ აგერ 13 წელიწადია და ჯერ ერთს ქართველს კი არ გადუდგამს ფეხი იქითკენ“ **(„დროება“,1878, №237:2-3).** ავტორს სურდა დაენახვებინა მთელი საქართველოსათვის, რომ მისი ერთ-ერთი ღვიძლი შვილი – ქართული ჰერეთი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თანამოძმეთა თანადგომას საჭიროებდა.

საინტერესო სტატიებით გამოირჩევა ვინმე „ინგილოელი“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ სისტემატურად აქვეყნებდა საინგილოს პრობლემებისადმი მიძღვნილ წერილებს. სავარაუდოდ, ამ ფსევდონიმის ქვეშ მოსე ჯანაშვილი უნდა მოვიაზროთ. ჯანაშვილი სტატიებს ხშირად ფსევდონიმებით აქვეყნებდა და მათ შორის ერთ -ერთი ფსევდონიმი სწორედ“ ინგილოელი“ იყო. ამ ფსევდონიმით მან 1878 წლის „დროების“ 236-237-ე ნომრებში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ზაქათალის მაზრიდამ“. წერილი ზაქათლის ოლქში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირეს და ამ დაწესებულებებში გაბატონებულ მოსწავლეთა მიმართ უსამართლო ჩაგვრასა და, ასევე, მშობლიური ენის დაკნინებას შეეხება. ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს ოლქში არსებულ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაზეც **(„დროება“,1878, №236:1-2; №237:2-3).**

„ინგილოელის“ ფსევდონიმით მ. ჯანაშვილს „დროების“ 1878 წლის 258-ე ნომერშიც აქვს გამოქვეყნებული წერილი იმავე სათაურით – „ზაქათალის მაზრიდამ“. მასში საუბარია ზაქათლის ოლქში არსებულ სოფელ თალას ავკარგზე. ერთ დროს ქართულ სოფელში იმ დროისათვის ლეკები (წახურელები) და მუღალები (აზერბაიჯანელები) ცხოვრობდნენ. ქართველთა ნასახლარზე რომ იდგნენ, ეს მათაც

კარგად იცოდნენ. „რომელ თალალელსაც ჩამოუგდო ლაპარაკი ძველებურ ნანგრევებზედ, ყველანი ერთსავე პასუხს გაძლევენ: უწინ, შაჰ-აბასის დროს, აქ ქართველობა ყოფილაო, ეს ყველა ნანგრევები მათგან არიან დარჩენილიო, და ბევრიც ამბობენ, აქაურობა დემურ-ხანს გაუფუჭებიაო და მუღალებიც მას აქეთ გადმოსახლებულანო. როგორც თვითონ თალაში, აგრეთვე მის მახლობლად ურიცხვი ნანგრევები ნამდვილად გვიხატავენ, რომ აქ ერთ დროს ისეთი გაცხოველებული ცხოვრება ყოფილა, რომლის მსგავსი ამ ჟამად მთელს კავკასიაში არ სად მოიპოვება“ – აღნიშნავს ავტორი **(„დროება“, 1878, №258:2-3).**

1880 წლის 146-ე ნომერში ვინმე მ.–შვილი ძალიან საინტერესოდ აღწერს ჰერეთს. მისი თქმით, საინგილო თვით ბუნებას გაუყვია ორ ნაწილად: ქვემო (ყარასავი – შავი წყალი) და ზემო ნაწილებად. ორივე ნაწილი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა როგორც ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ისე ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებით, განათლებით, მორალითა თუ ზნეობით. ქვემო ჰერები, ავტორის დაკვირვებით, მეტყველებით რაჭველებს ჩამოგავენ, თან „ამათი ენა მოკლებულია ყოველგვარ ბილწ და უშვერ სიტყვას“. „რაიცა შეეხება ქრისტიანობას, უნდა სამწუხაროდ ვაღიაროთ, რომ ყარასავში არც ერთი არ არის მონათლული, ყველა მაჰმადს თაყვანსა სცემს. ზემოურები კი, ერთი პატარა სოფლის სოსიკანის გარდა, ყველანი ქრისტიანები არიან“ – წერს ავტორი **(„დროება“, 1880 , №146:2-3).**

ბელაქანი, ჭარი ანუ ფიფინეთი, მუხახი, კაკი, ილისო, სარუბაში, კაკის საერისთაო – ეს ის ადგილებია ჰერეთისა, რომელთა შესახებაც საკმაოდ ამომწურავი ცნობებია დაცული გაზ. „დროების“ 1880 წლის 175-ე და 176-ე ნომრებში მოსე ჯანაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ წერილში „მოგზაურობა საინგილოში“. ავტორი წარმოგვიდგენს თითეული სოფლის ადგილმდებარეობას, ისტორიას და იმ სიმდიდრეს , რასაც თითეული მათგანი ფლობდა. ავტორის გადმოცემით, ჭარში, ყუმში და, ზოგადად, საინგილოში, ძალიან ბევრი ისტორიული ნაშთი იპყრობს ადამიანთა ყურადღებას და ქართველთა გულში აღვივებს მრავალ მწარე ფიქრს. ავტორი საინტერესოდ საუბრობს ჭარის „რესპუბლიკისა“ და ილისუს სასულთნოს ჩამოყალიბებასა და მათ თანამედროვე მდგომარეობაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე

**(„დროება“, 1880, №175:1-3; №176:1-3).** ჯანაშვილი ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ჰერები, ისე ლეკები და მუღალები, სარწყავი არხებისა და ეკლესიების მშენებლობას თამარ მეფის სახელს უკავშირებენ (თათრულად – ფადიშაი ფერისა) **(„დროება“, 1880, №176:3).**

ძალზე საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი „დროების“ 1881 წლის 263-ე ნომერში დაბეჭდილ წერილში „სპარსეთიდან ჩამოსული ქართველის ნაამბობი“, სადაც საუბარია ჰერეთიდან სპარსეთში გადასახლებული ქართველების შესახებ. წერილის ავტორი ისევ მოსე ჯანაშვილი გახლავთ.

სტატია საინტერესოა. ავტორი გვაწვდის ცნობებს , რომლებიც უშუალოდ სპარსეთში გადასახლებული ქართველისგან მიიღო. მისი გადმოცემით, იქაურ ქართველებს სამშობლოში დაბრუნება მოუნდომებიათ და მიუმართავთ რუსეთის ელჩისათვის, თუმცა ელჩს ეს წინადადება არ მიუღია, ამიტომ, სამწუხაროდ, იქვე დარჩენილან. ისინი თურმე დიდი სიყვარულით იხსენიებენ საქართველოს. მართალია, მძიმე ცხოვრებამ ზოგს ენაც კი დაავიწყა, მაგრამ არ დაუვიწყიათ თავიანთი ქართველობა და მხოლოდ ერთმანეთში ქორწინდებოდნენ, ყიზილბაშს ქალს არ გაატანდნენ. ამ ტრადიციამ გადაარჩინა ისინი გადაგვარებას და ყიზილბაშებში ასიმილაციას. ისინი დღესაც გურჯებად იწოდებიან და ეხლაც უღვივით სიყვარული მამულისადმი, თანამოძმეებისადმი. ბედისწერამ დიდი ხანია დააშორა ისინი ერთმანეთს, მაგრამ სპარსეთში მცხოვრები ქართველები სულით და გულით დღესაც ქართველობენო – ემოციებით წერს მოსე ჯანაშვილი. მის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სპარსეთში 12 ქართული სოფელი იყო, სადაც, სავარაუდოდ, 4,200-მდე ქართველი ცხოვრობდა **(„დროება, 1881, №263:1).**

ამრიგად, გაზეთმა „დროებამ“ შემოგვინახა ის ძვირფასი ცნობები, რომელთაც შეუძლიათ მთელი სისრულით წარმოგვიდგინონ ჰერეთის ისტორიული, პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური-ეკონომიკური თუ კულტურული სურათი. ყოველივე ეს ფასდაუდებელი განძია საქართველოს ისტორიისათვის.

## §. 2. ჰერეთი „ივერიის“ ფურცლებზე

გაზეთი „ივერია“ გახლდათ XIX საუკუნის II ნახევრის პერიოდული გამოცემა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა ქართველი ხალხის ინფორმირება მიმდინარე პროცესებში, ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს პრობლემატურ კუთხეებს, მათ შორის ჰერეთს. „ივერიამ“ მიზნად დაისახა ძალისხმევა არ დაეშურებინა და თავისი წვლილი შეეტანა იმ ეროვნულ საკითხში, რაც გულისხმობდა მტერთაგან ასეთ მიმძლავრებულ მხარეებში ქართული ცნობიერების შენარჩუნება-განმტკიცებას. სწორედ ამ მიზნით, საინტერესო პუბლიკაციები იბეჭდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში სწორედ „ივერიამ“, როგორც საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთმა, დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი. მასში მთელი სისრულით აისახა ქვეყნის რეალური პოლიტიკური თუ სოციალური სურათი.

„ივერია“ ქართველი ერისთვის იმაზე მეტს წარმოადგენდა, ვიდრე ჟურნალი ან გაზეთი. „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად აღიბეჭდებოდა და გადაიჭრებოდა ერის წინაშე მდგარი დიდი თუ მცირე პრობლემა. თემატურად მრავალფეროვანი გაზეთი გახლდათ. იგი პირველად 1877 წლის 3 მარტს გამოვიდა თავისი პუბლიკაციებით ქართველი საზოგადოების წინაშე და 1906 წლამდე ფუნქციონირებდა. 1879-1885 წლებში კი, მას ჟურნალის სახე ჰქონდა. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი გახლდათ ილია ჭავჭავაძე, თანარედაქტორები კი სხვადასხვა წლებში იყვნენ: სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე და ფილიპე გოგიჩაიშვილი **(ka.wikipedia.org/wiki/ივერია(გაზეთი).**

„ივერია“, როგორც გაზეთი, უტყუარ მატეანედ უნდა ჩაითვალოს, რომელმაც სრულად ასახა სამშობლოს მოწყვეტილი, უკვე სარწმუნოებრივად ნაწილობრივ გამაჰმადიანებული თანამოძმეების – ჰერების სატკივარი, რომლებსაც უწევდათ როგორც ირანელების, ასევე ლეკებისა და რუსების ზეწოლის შედეგად, თავიანთი ტრადიციული

ეთნო-ფსიქოლოგიური, მორალური და რელიგიური ღირებულებების იძულებით უარყოფა.

ჰერებისათვის საჭირბოროტო საკითხების ფართო საზოგადოების წინაშე გამოტანაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს იმ პუბლიცისტებმა, რომლებმაც საინგილოს თემაზე არაერთი სტატია დაბეჭდეს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე.

მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1877 წლის გაზეთ „ივერიის“ 37-ე ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომლის ავტორიც უცნობია. სტატიაში ჯერ დაღესტნელთა მოსალოდნელ თავდასხმაზე დაყრილ ჭორებზეა საუბარი, შემდეგ კი, ძირითადად, სოციალური შინაარსის ინფორმაციას გვაწვდის ზაქათლის მაზრაში მცხოვრები ინგილო გლეხების უსამართლო ჩაგვრაზე და სომეხი ვაჭრების მიერ გლეხების მიწა-წყლის უკანონო მითვისებაზე. ავტორის გადმოცემით, „წურბელა ვაჭრები“ მოტყუებით ძარცვავდნენ გლეხობას, რაც მათი მიწების ვალებში ჩამორთმევაში გამოიხატებოდა. ამ ქმედებას კი ვაჭრები ადგილობრივი, მათგან მოსყიდული ხელისუფლების კორუმპირებული წარმომადგენლების დახმარებით ახორციელებდნენ **(„ივერია“, 1877, №37: 4-5).** „კახის „უჩასტკის“ მცხოვრებნი ხშირად საჩივრებს, არზებს აძლევდნენ მთიულეთის სამმართებლოს უფროსობას, რომ კახის ვაჭრები თითქმის უფასოდ ჩვენს მიწა-წყალს ვალებში იღებენო და ჩვენც მამულებითგან გვდევნიანო და სხვა. ამგვარი საჩივრები მაშინ ბევრი მიდიოდა“ – მიუთითებს სტატიის ავტორი და იქვე განმარტავს, რომ მოსყიდული ჩინოვნიკების წყალობით საჩივრებზე სათანადო რეაგირება არ ხდებოდაო **(„ივერია“, 1877, № 37: 5).** შემდეგ აგრძელებს: „წელს ბევრი გლეხობა დარჩებოდა უმიწა-წყლოდ, რადგან ვაჭრები ბევრს ემუქრებოდნენ ვალებში მამულების დაჭერას, თუ ამასობაში კახის უჩასტკის უფროსად არ დანიშნულიყო ერთი განათლებული და კეთილ¬სვინიდისიანი პირი უფ. ბოღუსლავსკი“. მან „მონახა ის მიმალული ქაღალდები, სადაც მთიულეთის სამმართებლოსგან იყო აღკრძალული მამულების და მიწების ზოგ-სომხებისთვის ვალებში მიცემა“. ასეთი მოხელე იშვიათობა იყო. ავტორის ცნობით, შეწუხებული სომეხი ვაჭრები ზემდგომი ჩინოვნიკების მოსყიდვით ცდილობდნენ მის თავიდან

მოშორებას **(„ივერია“, 1877, №37: 5-6).** ამ წერილში კარგად ჩანს ჰერეთში არსებული მძიმე სოციალური ფონი.

მსგავსი წერილი დაიბეჭდა „ივერიის“ 1878 წლის 24-ე ნომერში. ავტორის ცნობით, ამა წლის 18-21 მაისს „ზაქათალის მაზრის უფროსს“ გაურჩევია 175 სადაო საქმე სომეხ ვაჭრებსა და ინგილო გლეხებს შორის ვალში წართმეული მამულების თაობაზე. მამულები მას გლეხებისათვის დაუბრუნებია, ხოლო არსებული დავალიანების ფულით გასასტუმრებლად გონივრული ვადები დაუწესებია **(„ივერია“, 1878, №24: 4).** ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა სომეხ ვაჭრებს, რომლებიც, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „აძრობდნენ სულსა და ტყავს საწყალ პირუტყვს ინგილო ხალხს“, ლაგამი ამოსდეს. მამულების გამოძალვის სიმრავლემ, როგორც ჩანს, აიძულა ხელისუფლება სომეხ ვაჭართა მტაცებლობა გარკვეულწილად შეეზღუდა.

ამავე ნომერში გამოქვეყნებული მეორე წერილით მხილებულია სიღნაღელი სომეხი არტემ არუთინოვი, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული კახის, გულუკის, ზაქათალისა და ბელოქნის „ფოჩტების სტანციები“. იგი თურმე უმოწყალოდ ყვლეფდა მდაბიო კლიენტებს და თავის დაქირავებულ „იემშჩიკებს“ და „სტანციის სმოტრიტლებსაც“ ატყუებდა ანგარიშში ჯამაგირის მიცემისას **(„ივერია“, 1878, №24: 4-5).**

საგაზეთო პუბლიკაციების სიმრავლით ჰერეთზე მოსე ჯანაშვილი გამოირჩეოდა. ის ამავე კუთხის მკვიდრი გახლდათ. ამიტომ მას ყველაზე მეტად ესმოდა და ტკიოდა თავისი კუთხის სატკივარი. მან ბევრი პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა საინგილოს თემატიკაზე არა მარტო „ივერიის“, არამედ გაზეთ „დროების“ ფურცლებზეც. ხშირად იგი სხვადასხვა ფსევდონიმს ამოფარებული აქვეყნებდა წერილებს. როგორც მკვლევარი ფრიდონ სიხარულიძე მიუთითებს, „ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობისას დადგინდა მ.ჯანაშვილის შემდეგი ფსევდონიმები: ინგილოელი, ფისტონი, ფ., მ-შვილი, წიწა, ჯ., მ. ჯ-შვილი, გიორგიელი, ესომ, თისძირელი, ე-მ, მუხაძე, მ-ე, ეს-მო, მოსიკო, მ. ჯ., ანდრია, ქურმუხელი, გიორგიძე, გიორგისძე, ჯ.მ., მ.გ.ჯ., გ-რმ., კაკელი, ლასურიძე მ.გ., ბერი, პ.პ., მორწმუნე, ვინმე ხუცესი, მ.შამხალაშვილი, Ан- ский , Не- археолог, М. Гиоргидзе (Георгидзе), М. Д-швили, М. Д-ли, М. Г-дзе, М.Д-и, М. Дж-швили, М. Дж.“ **(სიხარულიძე, 2006: 6).**

მოსე ჯანაშვილს გიორგიელის ფსევდონიმით 1886 წლის „ივერიის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებული აქვს წერილი სათაურით „დაბა და სოფელი“. მასში საუბარია საინგილოს სამეურნეო შესაძლებლობებსა და ბუნებრივ სიმდიდრეებზე. პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ ამ კუთხის სიმდიდრეს ადრეც განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველი და ახლაც განთქმული ყოფილა აბრეშუმით, ბამბით, ხორბლით, ღვინით, თაფლით, ბრინჯით, მრავალგვარი ხილით, ბოსტნეულით, გარეული ნადირ-ფრინველით, თევზით, ხე-ტყით, დაწინაურებული ყოფილა მესაქონლეობა. თუმცა, როგორც ავტორი გვამცნობს, მთელი ეს დოვლათი რჩებოდა ადგილზე ან ჩალის ფასად იყიდებოდა, ვინაიდან ეს მხარე უჩიოდა რკინიგზის და ბაზრის არარსებობას. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ასეთი მდიდარი მხარე მაინც ღარიბი იყო. ამ მხარის წარმატებას სწორედ ეს ორი მიზეზი აფერხებდა. ზაქათლის მაზრაში უხვად ყოფილა, აგრეთვე, მადნეული და სამკურნალო წყლები, რომლებიც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასევე გამოუყენებელი სიმდიდრე გახლდათ ამ მხარისათვის. აქაურ 67 000 მცხოვრებზე კი მხოლოდ სამი სასწავლებელი მოდიოდა: „1 სამაზრო და ორიც სასოფლო“ **(„ივერია“, 1886, №5:2).**

ესომის ფსევდონომით მ.ჯანაშვილის საინტერესო წერილი დაიბეჭდა 1886 წლის მე-10 ნომერში სათაურით „დაბა და სოფელი“. წერილიდან ვიგებთ, თუ როგორ შევიწროებული და შეზღუდული იყვნენ ელისუს სულთნის და ლეკთა გავლენის ქვეშ მყოფი ინგილოები. მათ ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე საუბარი და ქრისტიანული სარწმუნოების აღიარება. „უღელი მონებისა იმდენად მძიმე და აუტანელი იყო, რომ ყოველი ქართველი, ძალად გამაჰმადიანებული, სულით კი ისევ ქრისტიანე, ყოველს წამსა და ჟამს, სახლში თუ კარში, იმასა სთხოვდა მხოლოდ ღმერთს, რომ როგორმე დაეცა და დაესუსტებინა მისი მტერი“. მართლაც დადგა ასეთი დრო და „რუსეთის მხედრობამ ინგილოების დახმარებით“ ეს მხარე დაიკავა. „ინგილოებმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს, მიესალმნენ ძმურად თავის მხსნელთ, გააღეს დახშული კარები ტაძართა და შესწირეს საღმრთონი“. კახში, ალიბეგლოსა და ყორაღანში სკოლებიც გაიხსნა და მრავალი ინგილო ეზიარა განათლებას. ლეკები კი განათლებას გარუსებად მიიჩნევდნენ და „სიბნელეში ყოფნას“ არჩევდნენ **(„ივერია“, 1886, №10: 3).**

1886 წლის 170-ე ნომერში, ისევ რუბრიკაში „დაბა და სოფელი“, დაიბეჭდა საინტერესო წერილი ჰერეთის სიფლის მეურნეობის შესახებ. წერილში საუბარია აბრეშუმზე და ჰერეთისათვის დამახასიათებელ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. ავტორი ჰეროსის ფსევდონიმით აწერს ხელს **(„ივერია“, 1886, №170: 2-3).**

გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის 189-ე ნომერში, მუხაძის ფსევდონიმით გამოქვეყნდა ჯანაშვილის კიდევ ერთი წერილი სათაურით „ნუხა“. ავტორი თავდაპირველად გვაწვდის ცნობას იმასთან დაკავშირებით, რომ „ნუხა დიდი ქალაქია; შიგ 27 000 მოსახლეა: სპარსნი, სომეხნი, რუსნი და ქართველნი ... ქალაქსა აქვს დიდი ბაზარი, აბრეშუმის სახვევი მანჯანიკები და ქარხნები ... ქარხნები ეკუთვნისთ სომხებს. ბაზარში მოვაჭრენი არიან სპარსელები და სომხები“ **(„ივერია“, 1888, №189: 2).** შემდეგ საუბრობს ქალაქზე, აქაურ ვაჭრობასა და ხელოსნობაზე, არქიტექტურაზე, ნუხის მაზრაზე გამავალ გზებზე. განსაკუთრებით აღნიშნავს გიშის-წყლის ხეობაში არსებული ტაძარის შესახებ. „გიშის მონასტერს ეხლა დაჰპატრონებიან სომხები. წინად იგი იყო საკათედრო ტაძარი გიშის ეპისკოპოზისა ... იგი მწყსიდა შაკიხის, წუქეთს და ელისენს ხუნძახითურთ ... ანუ აწინდელის აღდაშის, ნუხისა და ზაქათალის მაზრებს“ – ამბობს ჯანაშვილი და იქვე დასძენს, რომ „დღეს ამ სიდიდე მანძილზედ მართლმადიდებელ მკვიდრ ხალხად ითვლებიან მხოლოდ უდები (ნუხის მაზრაში) და ინგილოები (ზაქათლის მაზრაში). რიცხვი ერთთაცა და მეორეთაცა 25 000 ძლივს იქნება, მაშინ-როდესაც სამთავე მაზრაში თითქმის 200 000-მდე მკვიდრია“ **(„ივერია“, 1888, №189: 2-3).**

1888 წლის 198-ე ნომერში, რუბრიკაში „დაბა და სოფელი“, გამოქვეყნდა წერილი ზაქათლის მაზრის სოფ. ყოროღანზე. ავტორი „მხილველის“ ფსევდონიმით აწერს ხელს. შესაძლოა ესეც მ.ჯანაშვილი იყოს. ავტორი საეკლესიო დღესასწაულებზე საუბრობს და მიუთითებს, რომ „15-ს აგვისტოს სოფელ ყოროღანში იდღესასწაულეს ტაძრის დღეობა, მიძინება ყოვლად წმიდის ღვთის მშობლისა; ეს მეოთხე წელიწადია, რაც დაწესდა ტაძრების დღესასწაულები ინგილოში. აქამდისინ არ იცოდნენ ჯვარობანი, მაგრამ ერთის კაცის ბეჯითობითა და მეცადინეობით ინგილოებმა კვლავ დაიწყეს თითოეულს სამრევლოში თავ-თავისის ტაძრის დღეობის გადახდა“ **(„ივერია“, 1888, №198: 2-3).** ავტორი საინტერესოდ აღწერს დღესასწაულის მსვლელობას. აქვე აღნიშნავს ყოროღანის

გარდაცვლილი მამასახლისის რაფიელ სტეფანეს ძე დარეჯანაშვილის დამსახურებებზე თავისი სოფლის წინაშე **(„ივერია“, 1888, №198: 3).**

„ივერიის“ 1889 წლის 114-ე ნომერში დაიბეჭდა მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილის მეტად საინტერესო ფელეტონი სათაურით „სანომ მათქმევინა“. წერილი შეეხება საინგილოს ქართველებს და იქ არსებულ მდგომარეობას. ავტორი ჯერ განმარტავს, რომ ჰერეთის ქართველებს ინგილო XVII საუკუნის დასაწყისიდან დაარქვეს მუსლიმებმა, როცა მათი ძალად გამაჰმადიანება დაიწყეს, თუმცა კავკასიის მუსლიმები „ზაქათალას მაზრას დღევანდლამდე ეძახიან გურჯისტან – საქართველოო“. მამა დიმიტრის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს ვინმე უზბაშევი, რომელიც სტატისტიკის კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში მუსლიმ ჰერებს არაქართველებად მოიხსენიებს. მამაო განმარტავს, რომ გამაჰმადიანებული ინგილო სარწმუნოებითაა მუსლიმი, თორემ ეროვნებით ხომ ისევ ქართველად რჩება, და რომ განსხვავებული რელიგიების ქონა ხელს არ უშლის ერის ერთიანობას **(„ივერია“, 1889, №114: 1).** შემდეგ ავტორი იწყებს ინგილოების მდგომარეობის განხილვას. ამბობს რომ „ზაქათალის მაზრაში სცხოვრობს 74 449 სული. ამათში ურევია 15 529 ქართველი-ინგილო და ამათგან ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებს მხოლოდ 3 843 სული, დანარჩენნი მაჰმადის სარწმუნოებას მისდევენ. რიცხვი ინგილოებისა უწინ უფრო ბევრი იყო. ახლა რამდენიც დრო მიდის, იმდენად უფრო მცირდება. ბევრი მათგანი სრულიად ივიწყებს ქართულს ენას, ეთვისება მაჰმადის სჯულს და თათრდება“ **(„ივერია“, 1889, №114: 1).** მიუთითებს, რომ 1850 წლამდე ყველა ინგილო, მიუხედავად ზეწოლისა, შინაგანად ქრისტიანობდა. ამ დროიდან აშკარად იწყეს ნათლისღება, მაგრამ 1863 წელს მაზრაში მაჰმადიანთაგან ატეხილი უწესრიგობების შემდეგ რომ ხელისუფლებამ შეწყვიტა ინგილოთა გაქრისტიანება, ბევრი მაჰმადიანობაზე გადავიდა და ლეკებთან და თათრებთან იწყო დაახლოება, რამაც მათში ქართული ცნობიერების დაკნინებას შეუწყო ხელი. ამას შერეული ქორწინებებიც დაემატა ლეკებთან და მუღალებთან, რასაც ადრე ადგილი არ ჰქონია და ინგილოთა ნაწილმა გათათრება დაიწყო. გაუცხოება დაიწყო მაჰმადიან და ქრისტიან ინგილოთა შორისაც. ლეკებმა და მუღალებმა კი ქრისტიანი ინგილოების შევიწროებას მოუხშირეს. მამა დიმიტრი განსაკუთრებით კაკელი ქრისტიანი

ინგილოების გაუტეხელობას უსვამს ხაზს და ამბობს, რომ „კაკელებს ჰქონიათ მუდამ პირველობა ინგილოთა შორის. კაკი არის რეზიდენცია ქართველთ ეროვნებისა ზაქათალას მაზრაში“. ამის გამო მათ ყველა მტრობს, მაგრამ ვერაფერს აკლებენო. დასასრულს, მამაო ქართულ საზოგადოებას მოუწოდებს: „ჩვენი მწერლობა და სასულიერო წოდება უნდა მიეშველოს ინგილოებს ... რომ საქმეს უშველონ და გზა-დაბნეულ ხალხს ხელი მოუმართონო“ **(„ივერია“, 1889, №114: 2-3).**

მოსე ჯანაშვილის ვრცელი ეთნოგრაფიული წერილი დაიბეჭდა ჰერეთზე გაზეთ „ივერიის“ 1889 წლის 191-ე, 193-ე, 194-ე, 196-ე, 197-ე, 198-ე და მე-200 ნომრებში სათაურით „საინგილო“. ავტორი კარგად ერკვევა ჰერეთის ეთნოგრაფიულ თავისებურებებში.

191-ე ნომერში იგი საინტერესოდ აღწერს მშობიარობასთან და ჩვილი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ ჩვეულებებს, ბავშვთა ავადმყოფობებთან ბრძოლის მეთოდებს **(„ივერია“, 1889, №191: 1-2).**

193-ე ნომერში მ.ჯანაშვილი საუბრობს ბავშვების ნათლობასთან, მათ აღზრდასთან, ქალ-ვაჟის დანიშვნასთან, ნიშნობის რიტუალთან დაკავშირებულ საკითხებზე. მზითევის დამზადებაზე **(„ივერია“, 1889, №193: 1-3).**

194-ე ნომერში ჯანაშვილი საინტერესოდ აღწერს ქალ-ვაჟის ოჯახების ქორწილზე შეთანხმებისა და საქორწილო რიტუალთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებზე, ინგილოთა ოთხდღიან ქორწილს **(„ივერია“, 1889, №194: 1-3).**

196-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი კვლავ საქორწილო საკითხებს ეხება. მათ შორის აღწერილია, როგორ ხდება ქორწილიდან ნეფე-დედოფლის „გაპარება“ მოსასვენებლად, პატარძლის ჩაცმულობა, პირველ დღეებში ქმრის ოჯახში მოქცევის წესები და სხვა. აქვეა დაანგარიშებული „დაქორწინებისა და დაგვირგვინების ხარჯი“, რომელიც ქალ-ვაჟის ოჯახებმა უნდა გასწიონ, ამას მოჰყვება ე.წ. „ყონაღობის“ ინსტიტუტის აღწერა, რომელიც დამყარებულია სომეხ ვაჭრებსა და ინგილო გლეხებს შორის. როგორც ირკვევა, ამ ინსტიტუტის წყალობით ვაჭრები, ფაქტობრივად, გლეხების ხარჯზე მდიდრდებოდნენ და ცხოვრობდნენ **(„ივერია“, 1889, №196: 2-3).**

197-ე ნომერში საუბარია ქორწილის შემდეგ სიმამრის სახლში სიძის „დაზახებაზე“ ანუ ქალის მამის ოჯახში ახალდაქორწინებულთათვის წვეულების გამართვაზე. ამავე ნომერში აღწერილია ზოგიერთ ავადმყოფობასთან, აგრეთვე, გარდაცვალება-დატირება-დასაფლავებასთან დაკავშირებული ქცევის ნორმები **(„ივერია“, 1889, №197: 2-3).**

198-ე ნომერში ჯანაშვილი მოგვითხრობს გარდაცლილის სულის საცხონებლად ჩასატარებელ წეს-ჩვეულებებზე, რელიგიურ დესასწაულებზე სასაფლაობზე გასვლაზე, საიქიოსთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე, მათ შორის ცრურწმენებზე **(„ივერია“, 1889, №198: 1-2).**

მე-200 ნომერში, ძირითადად, საუბარია ინგილოებში გავრცელებულ ზოგად ცრურწმენებზე, შელოცვებზე, გათვალვაზე და სხვა მსგავს წარმოდგენებზე. ამავე ნომერში მოსე ჯანაშვილი აღწერს შრომის დანაწილების პრინციპს კაცსა და ქალს შორის. „მუშაობა საინგილოში მამათ სქესსა და დედათა სქესს თანაბრად აქვთ განაწილებული. შინაური საქმე ეკითხება დედაკაცს, გარეთი, მინდვრისა მამაკაცს. მაგრამ როგორც შინ, ისე გარეთ მამაკაცმა და დედაკაცმა ერთმანეთის შველა იციან“ – მიუთითებს იგი **(„ივერია“, 1889, №200: 1-2).** აქვე ავტორი მოგვითხრობს ინგილოთა სოფლის თავისებურებებზე, სამეურნეო დარგების მრავალფეროვნებასა და ინგილოური სახლის აგებულებაზე, საოჯახო ყოფის ნიუანსებზე, ვაჭრობასა და სხვა მსგავს საკითხებზე. ყურადღებას ამახვილებს ჰერეთში შემორცენილ წარსულის მრავალრიცხოვან ნაშთებზე **(„ივერია“, 1889, №200: 2-3).**

მოსე ჯანაშვილის განხილული წერილები მდიდარ მასალებს შეიცავენ ინგილოთა ეთნოგრაფიის შესასწავლად. ეს მასალები ძვირფასია იმითაც, რომ მაღალპროფესიონალურად არის აღწერილი ადგილის მკვიდრის მიერ.

ჯანაშვილმა 1894 წელს თავად იმოგზაურა საინგილოში. მოგზაურობის შთაბეჭდილებები გამოქეყნდა იმავე წლის გაზეთ „ივერიის“ 168-ე ნომერში ესომის ფსევდონიმით. ამ მოგზაურობის ძირითადი მიზანი კი გახლდათ ის, რომ მ.ჯანაშვილს სურდა გაეკეთებინა ერთგვარი შედარება საინგილოს წარსულსა და თანამედროვეობას შორის. მისი გადმოცემით, 40 წლის წინ  საინგილოში განვითარებაც კი თითქოს

შეჩერებული იყო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ აქ ქართული წერა-კითხვის მცოდნესაც კი ვერ იპოვნიდით. დროთა მსვლელობამ ბევრი რამ შეცვალა ამ მხარეში, აქ უკვე ბევრ განათლებულს შეხვდებით და მოისმენთ ქართულ გალობას და მეტყველებას, რაც ადრე დაუშვებელი იყო და წარმოუდგენელიც – გადმოგვცემს ჯანაშვილი. იგი ხაზს უსვამს ინგილოთა შრომისმოყვარეობას. მისი სიტყვით, „მთელს მაზრაში, თუმცა სხვა მოდგმის ხალხს უკეთესი სახნავ-სათესი უჭირავს, მაინც ინგილონი ყველაზე გამრჯელები, მდიდრები არიან. ინგილო ნამდვილი მეურნეა“. ნათქვამის განსამტკიცებლად მას მოჰყავს სხვადასხვა სტატისტიკური მასალა სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის სფეროებიდან **(„ივერია“, 1894, №168: 3).**

ამავე სტატიით ვიგებთ, რომ ადრე საინგილოში ინგილოთა ქურდობა ფართოდ იყო გავრცელებული. ჯანაშვილის აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ინგილოები თავად იყვნენ ქურდობის მსხვერპლი ლეკთა და მუღალთა მხრიდან და იძულებული იყვნენ სამაგიერო გადაეხადათ მათთვის. დააშინეს კიდეც ისინი თავის დროზე. „დღეს საინგილოში, როგორც შემომესმა მრავალთაგან, ქურდობა ფრიად სამარცხვინო ხელობად აღიარებულია და შესამჩნევად შემცირებულა“ – აღნიშნავს იგი. აქვე საუბრობს მაჰმადიან და ქრისტიან ინგილოებს შორის გაჩენილ ბზარზე და მაჰმადიან ინგილოთა ეროვნულ დეგრადაციაზე, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა **(„ივერია“, 1894, №168: 4).**

მოსე ჯანაშვილმა 1896 წლის გაზეთ „ვერიის“ 28-ე ნომერში კიდევ ერთი საინტერესო წერილი გამოაქვეყნა. ეს არის „28 იანვარს, ტფილისში, იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში“ დაკრძალული მართა დიმიტრის ასულისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი. ეს ქალბატონი იყო „მეუღლე კარგად ცნობილის საეკკლესიო ისტორიისა და ღვთისმეტყველების მცოდნის ტფილისის დედათა ინსტიტუტის მასწავლებლის პეტრე კონჭოშვილისა“.

წერილის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობას 1860-1879 წლებში ჰერეთში არსებული ვითარებისა და იმ უდიდესი წვლილის შესახებ, რაც მიუძღვით ამ კუთხის მკვიდრთა წინაშე მამა პეტრე კონჭოშვილსა და მართა დიმიტრის ასულს. ავტორის გადმოცემით, მათ ისეთ რთულ პერიოდში მოუწიათ მოღვაწეობა, როცა ჰერეთში ჯერ კიდევ ლეკები მძლავრობდნენ და განათლებას,

ფაქტობრივად, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ასეთ რთულ დროს ახლად მოქცეულ ჰერებს წინამძღოლობდნენ ეს უდიდესი ადამიანები , რომლებმაც შეასწავლეს ჰერებს ლოცვები, წერა-კითხვა, ანგარიში, მსოფლიო გეოგრაფია, და, რაც მთავარია, ჰერ ბავშვებს შესაძლებლობა მისცეს წარმოდგენა ჰქონოდათ მთლიან საქართველოზე. ავტორს იმედი აქვს, რომ ოდესმე მათ ღვაწლს ჯეროვნად დააფასებს ადგილობრივი ისტორიოგრაფი და სათანადოდ აღწერს მათ საქმიანობას **(„ივერია“, 1896, №28: 3).** აღსანიშნავია, რომ მოსე ჯანაშვილიც მათი მოსწავლე იყო და მის ღირსეულ მამულიშვილად ჩამოყალიბებაში ამ ღთისნიერ წყვილს თავისი წვლილი მიუძღვის.

საინგილოს მოჭირნახულე კიდევ ერთი მამულიშვილის გარდაცვალებაზე იუწყება 1896 წლის 56-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც ვასოს ფსევდონიმით აწერს ხელს ავტორი. იგი ჯერ ზაქათალის ოლქში არსებულ მდგომარეობას ეხება და დანანებით ამბობს, რომ „ოლქში ამ ჟამად სცხოვრობს 15 ათასამდე ქართველი, რომელთაც ინგილოებს ვეძახით; მაგრამ ოლქის სამმართველო ქალაქს ზაქათალაში არც ერთი ინგილო არა სცხოვრობს. აქ არიან ქართველნი, სხვა მაზრებიდამ მოსულნი, მაგრამ იმათი რიცხვიც ისე ცოტაა, რომ არც-კი ღირს თქმად, რომ აქ ქართველნი სცხოვრობენო“ და დასძენს, რომ „ეს ფაქტი მეტის მეტად ამწარებს და აღელვებს ქართველ კაცის მამულიშვილურ გრძნობასაო“ **(„ივერია“, 1896, №56: 2).**

პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ ყოველთვის ასეთი მდგომარეობა არ იყო და „ერთს დროს ოლქში ქართველთა ცხოვრება სდუღდა, აქაური ქართველები იმოდენად ძლიერნი იყვნენ, რომ იცავდნენ კახეთს აღმოსავლეთის მხრით“, ახლა კი ისე დაუძლურებულან, უცხო ტომის მოხელე შეიძლება ვერც კი მიხვდეს, ეს ქვეყანა რომ ქართველებისა არისო. შემდეგ მოგვითხრობს 29 თებერვალს გარდაცვლილი დავით გულისაშვილის შესახებ, რომელიც „იყო მასწავლებელი ქალაქ ზაქათალის სასწავლებლისა.“ წერილის ავტორი ხაზს უსვამს, რომ დავით გულისაშვილი ყოველმხრივ კარგი კაცი იყო და ბევრი კარგი, და, რაც მთავარია, ქართული საქმე ჰქონდა გაკეთებული მასწავლებლად ყოფნის დროს. მის სახელს უკავშირდებოდა ქალაქ ზაქათალას სკოლაში მუზეუმის დაარსებასაც, სადაც შეუკრებია და მოუთავსებია ყველა საჭირო კოლექცია, რითაც აქაურ მკვიდრთ შემოუნახა ჰერეთის ბუნების,

ისტორიის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები. ბატონი დავითი მთელი ოლქის მოსახლეობას უყვარდა, აქაური ქართველები ხომ ყველანი ძალიან დაამწუხრა მისმა გარდაცვალებამ. იგი ხომ ინგილოების ქომაგი და გვერდში მდგომი იყო ყველა საქმეში **(„ივერია“, 1896, №56: 2-3).** ეს წერილიც კარგად წარმოაჩენს ჰერეთში არსებულ მძიმე მდგომარეობას. ერთი ქართველის დაკლებაც კი დიდი ტრაგედია იყო ამ ღვთის ანაბარა მიტოვებულ მხარეში.

საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი 1898 წელს გაზეთ ივერიაში კვლავ მოსე ჯანაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში. პუბლიკაცია მთლიანად პოლიტიკური შინაარსის შემცველია და ხაზს უსვამს შაჰ-აბასის ვერაგულ მიზნებს ჰერეთის და არამარტო ჰერეთის მიმართ. ავტორის სიტყვით, შაჰ-აბასის წადილი მთელი საქართველოს დამონება ყოფილა, ხოლო ამ მიზნის მიღწევას იგი ქრისტიანი ქართველების გამაჰმადიანებით ცდილობდა. შაჰ-აბასმა ისე დაასუსტა საქართველო, რომ მას შემდეგ იგი ვეღარც შეერთ-შეკავშირდა და ვეღარც წელში გაიმართა. შაჰმა კახეთი თითქმის ძირიანად მოთხარა, დაასუსტა იგი მოსახლეობის შეუბრალებელი გაჟლეტითა და ტყვეების ირანში გადასახლებით, პროვინციების წაგლეჯით და ქალაქებისა და სოფლების განადგურებით. ესეც არ აკმარა და მთელ კახეთს და მათ შორის ჰერეთს „გადაჰკიდა ლეკნი, აზერბაიჯანის თათარნი და კახეთში კი მმართველებად დანიშნა გაუნათლებელნი და უვიცნი“. ამასთან, ტყვედ წაყვანილი ქართველებისაგან, მათ შორის ჰერეთის მკვიდრთაგან, თავის სატახტო ქალაქში სამხედრო რაზმები ჩამოაყალიბა. ავტორის გადმოცემით, შაჰის ეს ნაბიჯი კარგად იყო გათვლილი და საქართველოს, განსაკუთრებით კი კახეთის განადგურებას ისახავდა მიზნად. ასეთი პოლიტიკა შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც გააგრძელეს **(„ივერია“, 1898, №61: 2-3).** ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნების დროისათვის, საინგილოში ანუ ჰერეთში მხოლოდ 15 ათასი ქართველიღა ცხოვრობდა, ხოლო 75 ათასი სულ სხვადასხვა მოდგმის ხალხი იყო, მათ შორის ლეკები, სომხები, თათრები და სხვა. ამ რიცხობრივი მონაცემებით კარგად სჩანს ის მძიმე შედეგები, რაც მტრების მოქმედებებმა გამოიწვია, აგრეთვე ის ტკივილიანი წარსული, მრავალი წლის მანძილზე რომ განვლეს ჰერებმა დამპყრობელთა უღელქვეშ.

დაახლოებით ასეთი არის ის პრობლემატიკა, რაც „ივერიის“ ფურცლებზე აისახა ჰერეთთან დაკავშირებით. უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ნაშრომში გამოყენებული ნომრებით არ შემოვფარგლულვართ. ბევრ სტატიას გავეცანით გაზეთ „ივერიის“ ნომრების დამუშავების დროს, მაგრამ ზოგიერთი წერილი თითქმის მსგავს ინფორმაციებს შეიცავდა, ამიტომ ნაშრომში ისინი აღარ წარმოვადგინეთ.

გაზეთმა ივერიამ ჰერეთის და ჰერების შესახებ სხვადასხვა ხასიათის სტატიების გამოქვეყნებით, ნამდვილად შესძლო და მიაღწია იმ მიზანს, რაც დაისახა ქვეყნისა და ერის წინაშე დაარსების დღიდან.

# დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ მიზნად დავისახეთ სამეცნიერო ლიტერატურისა და XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის მონაცემთა უთიერთშეჯერების საფუძველზე გვეჩვენებინა იმდროინდელი ჰერეთის ანუ საინგილოს როგორც არსებული მდგომარეობა, ისე მისი მძიმე წარსული და ის ისტორიული პროცესები, რამაც ქართული ჰერეთი უცხოთა ხელში მოქცეულ საინგილოდ გადააქცია.

ძველი ჰერეთი, ანუ იგივე თანამედროვე საინგილო, რომელიც დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ოდესღაც საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა და აქაურ ქართველებს თავისი წილი წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ქართული კულტურის შექმნაში. მათი უმეტესობა დღესაც ქართული სულისა და ცნობიერების მატარებელია, თუმცა ავბედითმა წარსულმა ბევრს დაუკარგა ეროვნული სახე. ასიმილაციის პროცესი, სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება.

ჰერეთი ტკივილიანი წარსულის მქონე მხარეა. ისტორიულმა ბედუკუღმართობამ მრავალჯერ მიაყენა მას მძიმე დარტყმა და გამოუსწორებელი ზიანი. ჰერეთს ყოველთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საუკუნეების მანძილზე იგი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან იცავდა დანარჩენ საქართველოს და პირველად თავის თავზე იღებდა ამ მხრიდან წამოსული მტრის თავდასხმებს. სწორედ ამ მნიშვნელობის გამო, 1604 წელს შაჰ-აბას I-მა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს ჰერეთის აღმოსავლეთი ნაწილი – კაკ-ენისელის სამოურავო გამოსძალა, აქ ელისუს სასულტნოს ჩაუყარა საფუძველი და ამით კახეთს აღმოსავლეთი კარიბჭე მოურღვია.

ჰერეთი ეკონომიკური თვალსაზრისითაც ძლიერი კუთხე იყო, რასაც ნუმიზმატიკური აღმოჩენებიც ადასტურებს. ეს აღმოჩენები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჰერეთი სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში. აქ გამავალი გზები მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალებს წარმოადგენდა, რომელთა საშუალებითაც ჰერეთის რაიონები ერთმანეთს და

გარესამყაროს უკავშირდებოდა. მათ მიმართ სერიოზული ინტერესი გააჩნდათ ირან-ოსმალეთს, რუსეთს და დაღესტნის მთიელებს.

კახეთის სამეფოს ამ ნაწილს ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დიდი ზიანი მიაყენა ირანმა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1604 წელს შაჰ-აბას I-მა კახეთს თანამედროვე კახის რაიონი, მაშინ კაკ-ენისელის სამოურავო ჩამოაშორა და ელისუს სასულთნო დააარსა. შემდეგში, 1614-1617 წლებში მის მიერ კახეთის სამეფოზე განხორციელებული ოთხი ფართომასშტაბიანი ლაშქრობის შემდეგ მთელი კახეთის სამეფო და, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი – ჰერეთი ისე აოხრდა, ისე დაიცალა მოსახლეობისაგან, რომ თავდაცვითი ძალები უკიდურესად შესუსტდა და ეს მხარე დაღესტნელი აბრაგების სათარეშო გახდა. თანდათან, თარეშთან ერთად, დაღესტნელები ჰერეთის მიწაზე ჩამოსახლებასაც იწყებენ. კახეთის სამეფომ მათი ალაგმვა ვერ მოახერხა, რადგან დაღესტნელი მოახალშენეების უკან ირანი და ოსმალეთი იდგნენ. ჩამოსახლებულებმა ეტაპობრივად მიიტაცეს ძველი ჰერეთის მიწები (დღევანდელი ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები აზერბაიჯანში) და თავიანთი საზოგადოებები დააარსეს. მათი საერთო სახელი ჭარ-ბელაქანი გახდა.

1727 წელს ოსმალეთის სულთანმა აღნიშნული ტერიტორიები ჩამოსახლებული „ლეკების“ საკუთრებად გამოაცხადა. ჰერეთის ქართველობის ერთი ნაწილი დაღესტნელ მოახალშენეებს შეერია და გალეკდა, დანარჩენები კი ლეკმა აღალარებმა (მებატონეებმა) დაბეგრეს და გადასახადები შეაწერეს. დაბეგრილი ჰერების ნაწილი გამაჰმადიამდა. ისინი დიდ შევიწროებას განიცდიდნენ. ქართულმა სამეფოებმა ვერ შესძლეს მომხდურთა განდევნა და ამ კუთხის გათავისუფლება.

XIX საუკუნეში ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო ამიერკავკასიაში შემოსული რუსეთის იმპერიის ყურადღების არეში მოექცა. 1803 წელს ჭარ-ბელაქანს იმპერიის ქვეშევრდომობის მიღება აიძულეს.1830 წელს კი რუსეთმა ჰერეთის ეს ნაწილი (ჭარ-ბელაქანი) იარაღის ძალით დაიმორჩილა და შეიერთა. იმავე წელს, ყმადნაფიცობისა და ხარკის გადახდის პირობით, რუსეთის იმპერიას დაექვემდებარა ელისუს სასულთნოც. ამ ცვლილებებს არც ქრისტიანი და არც მაჰმადიანი ჰერების მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. რუსეთის ხელისუფლება ლეკ აღალარებს გარკვეულ

ანგარიშს უწევდა და მათ გაღიზიანებას ერიდებოდა, ამიტომ აქაურ ქართველობას ქრისტიანული სახელმწიფოს (რუსეთის იმპერია) ფარგლებში მოქცევით შვება არ უგრძვნია. ჰერები (ინგილოები) კვლავ დაკაბალებულ მდგომარეობაში რჩებოდნენ.

XIX საუკუნის შუა ხანებშიც კი ჰერეთის შესახებ საქართველოს სხვა კუთხეებში (კახეთის გარდა) საკმაოდ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. ქართველ ხალხს უნდა სცოდნოდა გაჭირვებაში მყოფი თავისი თანამოძმეების შესახებ და, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარების ხელი გაეწოდებინა მისთვის. ჰერების პრობლემები უყურადღებოდ არ დარჩენილა მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის.

ქართველი საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ ჰერეთი, იგივე საინგილო, მთელი საქართველოსათვის გაეცნოთ. ამ მხრიმ განსაკუთრებით თავად ჰერეთის კუთხიდან გამოსულები გამოირჩეოდნენ. ეს გასაგებიცაა. დიმიტრი ჯანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, გრიგოლ იარალოვი, ვალერიან ტარტარაშვილი და სხვები, აქტიურად თანამშრომლობდნენ XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პერიოდულ გამოცემებთან, როგორიც იყო, მაგ., გაზეთები „ივერია“ და „დროება“, ჟურნალი „ცისკარი“. მათ გამოაქვეყნეს მრავალი ისტორიულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილი, რომლებიც ჰერეთის პრობლემატიკას მიეძღვნა.

საინგილოს შესახებ დაბეჭდილი სტატიები ასახავდნენ როგორც ისტორიულ წარსულს, ისე თანადროულ პრობლემებს ეკონომიკაში, განათლებაში, რელიგიურ და სოციალურ სფეროში თუ სხვა მიმართულებებში.

აღსანიშნავია, რომ პუბლიცისტები, განსაკუთრებით ჰერები, კარგად ერკვეოდნენ მოვლენების არსში, თითოეულ საკითხს ცხელ კვალზე აშუქებდნენ და ინფორმაციას სამშობლოს მოწყვეტილ მოძმეთა სატკივარზე მთელ საქართველოს აწვდიდნენ.

პრესის მონაცემების გაცნობისას დავრწმუნდით, რომ ჰერები, რომლებიც ადრე სიძლიერითა და დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდნენ, რთულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა თანდათან მოდრიკა და ნაწილობრივ დაუკარგა თავდაპირველი სახე, გამოიწვია ასიმილაციური პროცესები. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის II ნახევრში მათი მორალური და ეროვნული ღირებულებები, ძირითადში, ჯერ კიდევ მყარი იყო.

დასასრულს, უნდა გამოვთქვათ იმედი იმისა, რომ, ღვთის შეწევნით, საქართველო მალე დადგება ფეხზე და შესძლებს ბედის უკუღმართობით დედასამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს დახმარების მძლავრი ხელი გაუწოდოს, რათა მათ ეროვნულ სახესა და სულიერ სამყაროს არანაირი საფრთხე აღარ დაემუქროს და ძველი ჰერეთის ტანჯულ მიწაზე მარადიულად ცოცხლობდეს ქართული გენი.

# გამოყენებული ლიტერატურის სია

**ალექსაია, ზოსიძე, 2013:** – ალექსაია ს., ზოსიძე., საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე), გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2013.

**ბერძენიშვილი, 1965: –** ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965.

**ბერძენიშვილი, 1966: –** ბერძენიშვილი ნიკო, „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 253-276.

**ბერძენიშვილი, 1973: –** ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1973.

**დუმბაძე, 1953:** – დუმბაძე მ., „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს ) ისტორიიდან“, თბილისი, 1953.

**„დროება“, 1866, №43: –** ავტორი უცნობია, „ტფილისი 22 დეკემბერს“, გაზეთი „დროება“, 1866, №43.

**„დროება“, 1866, №44: –** ავტორი უცნობია, „ტფილისი 29 დეკემბერს“, გაზეთი „დროება“, 1866, №44.

**„დროება“, 1867, №24 –** ინგილო, „ქიზიყელები ინგილოებში“, გაზეთი „დროება“, 1867, №24.

**„დროება“, 1867, №№45, 46, 47, 48, 49, 50: –** ინგილოელი, „წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება“, გაზეთი „დროება“, 1867, №№45, 46, 47, 47, 48, 49, 50.

**„დროება“, 1878, №№234, 235, 236, 237: –** ჯანაშვილი მოსე, „მოგზაურობა საინგილოში“, გაზეთი „დროება“, 1878, №№234, 235, 236, 237.

**„დროება“, 1878, №258: –** ინგილოელი, „ზაქათალის მაზრიდამ“, გაზეთი „დროება“, 1878, №258 .

**„დროება“, 1880, №146: –** მ.-შვილი, „საინგილო“, გაზეთი „დროება“, 1880, №146.

**„დროება“, 1880, №175, 176: –** ჯანაშვილი მოსე, „მოგზაურობა საინგილოში“, გაზეთი „დროება“, 1880, №175-176.

**„დროება“, 1881, №263: –** ჯანაშვილი მოსე, „სპარსეთიდან ჩამოსული ქართველის ნაამბობი“, გაზეთი „დროება“, 1881, №263.

**„ივერია“, 1877, №37:** – ავტორი უცნობია, „ზაქათლის მაზრიდან“, გაზეთი „ივერია“, 1877, №37.

**„ივერია“, 1878, №24:** – ავტორი უცნობია, „ზაქათალა“, გაზეთი „ივერია“, 1878, №24.

**„ივერია“, 1886, №5:** – გიორგიელი, „დაბა და სოფელი“, გაზეთი „ივერია“, 1886, №5.

**„ივერია“, 1886, №10:** – ესომ, „დაბა და სოფელი“, გაზეთი „ივერია“, 1886, №10.

**„ივერია“, 1886, №170:** – ჰეროს, „დაბა და სოფელი“, გაზეთი „ივერია“, 1886, №170.

**„ივერია“, 1888, №189:** – მუხაძე, „ნუხა“, გაზეთი „ივერია“, 1888, №189.

**„ივერია“, 1888, №198:** – მხილველი, „დაბა და სოფელი“, გაზეთი „ივერია“, 1888, №198.

**„ივერია“, 1889, №114:** – ჯანაშვილი დიმიტრი, „სანომ მათქმევინა“, გაზეთი „ივერია“, 1889, №114.

**„ივერია“, 1889, №№191, 193, 194, 196, 197, 198, 200:** –ჯანაშვილი მოსე, „საინგილო“, გაზეთი „ივერია“, 1889, №№191, 193, 194, 196, 197, 198, 200.

**„ივერია“, 1894, №168:** – ესომ, „საინგილო“, გაზეთი „ივერია“, 1894, №168.

**„ივერია“, 1896, №28:** – ჯანაშვილი მოსე, „ნეკროლოგი“, გაზეთი „ივერია“, 1896, №28.

**„ივერია“, 1896, №56:** – ვასო, „ზაქათალა“, გაზეთი „ივერია“, 1896, №65.

**„ივერია“, 1898, №61:** – ჯანაშვილი მოსე, „მამა-პაპათა ანდერძი“, გაზეთი „ივერია“, 1898, №61.

**ისკანდერ მუნში, 1969:** – „ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ“, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1969.

**კაკაბაძე, 1997:** – კაკაბაძე სარგის, „ქართველი ხალხის ისტორია“ (1783-1921), გამომც. „ნეკერი“, თბილისი, 1997.

**მეგრელიძე, 2011:** – მეგრელიძე დ., კრ.: „ლეკიანობა“, თბილისი, 2011.

**პაპუაშვილი, 1970:** – პაპუაშვილი თენგიზ, „ჰერეთის ისტორიის საკითხები : ნარკვევები სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიიდან“ (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე), გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1970.

**პაპუაშვილი, 2013:** – პაპუაშვილი თენგიზ, „საინგილოს ისტორიის ნარკვევები : საქართველოს აღდგომისა და გამოხსნისათვის ბრძოლა კაკ-ელისენის გამო“, გამომც. „არტანუჯი“, თბილისი, 2013.

**საბაშვილი, 2017:** – გვანცა საბაშვილი, „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, ბათუმი, 2017. ინტერნეტ-მისამართი: https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_8391_1.pdf

**სანიკიძე, 1994:** – სანიკიძე ლ., „საქართველოს ისტორია თვალის ერთი გადავლებით“, გამომც. „სამშობლო“, თბილისი, 1994.

**საქართველოს ისტორია, 1943:** – ჯავახიშვილი ივანე, ბერძენიშვილი ნიკო, ჯანაშია სიმონ, „საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისათვის, სახელგამი, თბილისი, 1943.

**საქართველოს ისტორია, 2012:** – „საქართველოს ისტორია“ (საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე), III, თბილისი, 2012.

**სინ, 1973:** – „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, საქართველოს XVI საუკ. დასაწყისიდან XIX საუკ. 30-იან წლებამდე, თბილისი, 1979.

**სიხარულიძე, 2006:** – „მოსე ჯანაშვილი, ბიობიბლიოგრაფია“, შემდგენელი ფრიდონ სიხარულიძე, თბილისი, 2006, ინტერნეტ-მისამართი:
https://elfiles.emis.ge/uploads/11022/conversions/Jjanashvili_Moce-compressed.pdf

**სპანდერაშვილი, 2008:** – სპანდერაშვილი როლანდ, „შევიტყვე, რომ თქვენ ქრისტეს სჯულის უარყოფა გწადიათ“, ჟურნ. „კარიბჭე“, 2008, ინტერნეტ-მისამართი: http://karibche.ambebi.ge/eklesia/eklesiis-istoria/3393-shevityve-rom-thqven-qristes-sjulis-uaryofa-gtsadiath.html

**ფუთურიძე 1969** - ფუთურიძე ვ . ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს
შესახებ გამომცემლობა მეცნიერება თბილისი 1969 .

**ჟორდანია, 1963:** – ჟორდანია გივი, „ ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ“, ჟურნ. „ცისკარი“, 1963, №5, გვ. 140-151.

**ტარტარაშვილი, 1973:** – ტარტარაშვილი ვალერიან, „საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენის ისტორიიდან“, ჟურნ. „ცისკარი“, 1973, №5, გვ. 139-144.

**ტარტარაშვილი, 1987:** – ტარტარაშვილი ვალერიან, „რუსეთთან საინგილოს შეერთების ისტორიიდან“, ჟურნ. „ცისკარი“, 1987, №11, გვ. 148-152.

**ჩხარტიშვილი, მანია, 2011: –** ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან, „ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო“, I, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

**წოწკოლაური, 2015:** – წოწკოლაური ავ., „საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2015.

**ხახანაშვილი, 2005:** – ხახანაშვილი ალექსანდრე, „ზაქათალის ოლქი“, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, 2005, №1, გვ. 31-37.

**ჯანაშვილი, 1910:** – ჯანაშვილი მოსე, „საინგილო“, თბილისი, 1910.

**ჯაფარიძე, 2010: –** მეუფე ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია, თბილისი, 2010; ინტერნეტ-მისამართი: http://meufeanania.info/ქართველთა-დენაციონალიზა/

**https://ka.wikipedia.org/wiki/დროება_( XIX_საუკუნე)**

**https://ka.wikipedia.org/wiki/ივერია_ (გაზეთი)**

**http://hereti-bykiko.blogspot.com/2012/06/blog-post.html**